# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 14 აპრილი, 2011 წელი.

№69 (6680)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## 14 აპრილი
## ქართული ენის დღეა



ქართული ენის გადარჩენა ხელისუფლების სახელმწიფოებრივი საზრუნავი უნდა იყოს!

5

**მუხრან მაჭავარიანი**

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს.

### ხელებს ამერიკულად გვიგრეხენ, ენას - ინგლისურად!

**„ქართული ენა და თანამედროვეობა“ — ამ სახელწოდებით საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციაში კონფერენცია გაიმართა. ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი თავყრილობა ასოციაციის თავმჯდომარემ ლია ნადარეიშვილმა გახსნა.**

მისი თქმით, გლობალიზაციამ ჩვენი ცხოვრების ყველა უბანი მოიცვა და დამანგრეველი კვალი დატოვა. „საზოგადოება თაობებად გაიხლიჩა, ის თაობა, რომელიც საბჭოთა პერიოდში აღიზარდა, უგულებელყოფილია და უფუნქციოდ დარჩა. საშიშროება დაემუქრა ეროვნულ თვითმყოფადობას და ცნობიერებას. ფასი დაკარგა ზნეობამ, მორალმა და პროფესიონალიზმმა. დღითი დღე კნინდება და ნადგურდება ქართული მეცნიერება. საუბედუროდ, სასახელო მეცნიერული სკოლები დაიხურა და დღეს ეს სფერო სავალალო დღეშია.

უარეს დღეშია ქართული განათლება. ოდესღაც მწყობრი სისტემა განათლებისა დაიშალა და განვითარებადი ქვეყნების დონეს გაუთანაბრდა. ალბათ, არ შევცდები, თუ აღვნიშნავ, რომ ის უწინდელი განათლების მე-7-8 კლასების მონაცემებს არ სცდება.

საგულისხმოა ისიც, რომ ასეთ ვითარებას ჩვენი საზოგადოება მორჩილად შეჰყურებს, ხმას არ იმაღლებს, გამონაკლისების გარდა. ეტყობა, შიშმა და უიმედობამ დაისადგურა ჩვენში, მაგრამ ასე გაგრძელება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება“...

**ლია ნადარეიშვილის** აზრით, საგანგაშო ვითარებაა ლიტერატურული ქართული ენის შესწავლის თვალსაზრისით.

„ასეთ ვითარებაში არ შეიძლება გულგრილი იყოს წიგნის მოყვარულების, მწიგნობართა ასოციაცია, რომელიც საკუთარ თავს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთ მემკვიდრედ მიიჩნევს. ამიტომაც გადავწყვიტეთ ენათმეცნიერების მხარდაჭერით ამ კონფერენციის ჩატარება და ჩვენი ასოციაციის აქტიურ წევრებთან ერთად მსჯელობა თემაზე: რას უქადის დღევანდელი დღე ქართულ ენას?“

იხ. 4 გვ.



## საპატრიარქო თავის შეკავებისკენ მოგვიწოდებს

საქართველოს საპატრიარქო მართლმადიდებლებს 17 აპრილს „იეღოვას მოწმეთა“ დღესასწაულში მონაწილეობისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებს.

— ბოლო დღეებში რასელისტთა (ე.წ. იეღოვას მოწმეთა) სექტის წარმომადგენლები ავრცელებენ მოსაწვევებს, რომლითაც მოქალაქეებს 17 აპრილს „იეღოვას მოწმეთა“ დღესასწაულზე — „იესოს სიკვდილის გახსენების საღამოზე“ იწვევენ. როგორც ცნობილია, აღნიშნული სექტის მიერ წარმოებული აგრესიული პროზელიტიზმი მოსახლეობის დიდი ნაწილის მწვავე რეაქციას იწვევს. საპატრიარქოს პრესცენტრი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ რასელისტთა ორგანიზაცია ანტიქრისტიანულ და ანტიჰუმანურ ტოტალიტარულ სექტას წარმოადგენს. საეკლესიო სამართლის თანახმად, მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის სექტანტებთან ერთობლივი ლოცვა და მათ რიტუალებში თანამონაწილეობა მიუღებელია, — ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## „ჭირი“ — იქა, „ლხინი“ — აქა?!

2003 წლის შემდეგ არც „მარშრუტკაში“ ჩამჯდარხართ და არც მეტროთი გიმგზავრიათ, ბატონო მამუკა?

3




## კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას სურს დაგვაჯეროს, რომ მოსახლეობის უმეტესობას ინფორმაცია არ აინტერესებს

2

## „კოზა ნოსტრას“ შავი იუმორი თუ ქართული ქსენოფობია?

## ნგრევა შენების სახელით

11



ტურიზმის პრიმატით სვანეთის „ალორძინება“ დამღუპველია!

◉ წერილი აჭარიდან

# ბათუმელები წინააღმდეგნი არიან...

**როგორც** ცნობილია, საქართველოს და თურქეთის შესაბამისმა მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების (ეკლესია, ჯამე) შეკეთება-აღდგენის შესახებ, რომლებიც უკვე ისტორიული ძეგლებია. ვერაფერს იტყვი, საქმე მისასალმებელია და ფრიად დროული.

მაგრამ ვერაფრით თავსდება ამ კონტექსტში ბათუმში მეორე ჯამეს აგება, სადაც ოდესღაც ყოფილი, როგორც მაგონდება, ხის ჯამე იყო და რამდენადაც მრევლი არ ჰყავდა, იგი არც მოქმედებდა.

გასული საუკუნის 30-იან წლებში ეს ჯამე დაიშალა. მის მაგივრად ფიქრობენ ახლის აგებას. ბათუმელები ამის წინააღმდეგნი არიან. ჯერ ერთი, ბათუმის ოდენა ქალაქში ორი ჯამე არ არის საჭირო, არ არის იმდენი მრევლი. და თუ მაინცადამაინც, თითქოსდა, მრევლის ინტერესებიდან გამოდიან, მაშინ ქალაქის ცენტრში უკვე არსებული ჯამეს გაფართოება შეიძლება. ბათუმელებმა კარგად იციან, თუ რა ტროას ცხენია ბათუმში მეორე ჯამე. თანაც ბათუმის განაშენიანება-დაგეგმარების შედეგად თითქმის არსადაა ადგილი ახალი შენობის ასგებად, ამიტომაც კატეგორიული წინააღმდეგნი არიან ჯამეს აგებისა.

აზიზ ახვლედიანი
ბათუმი

◉ რისი შეტყობაც მოვახერხეთ

# თბილისი-პარიზი-თბილისი

## ერთი გახმაურებული ინციდენტის გამო

**პარიზი...**

**უამრავი ლამაზი სიტყვის დაწერა შეიძლება პარიზზე.**

**უამრავი ლამაზი ოცნებით გაჟღენთილი სიტყვა თქმულა და კიდევ ბევრი ითქმება.**

**მუშკეტერების, დუელანტების, ლამაზი ქალების, რომანტიკისა და ბოჰემის ქალაქი...**

პარიზი – რევოლუციების აკვანი და დანგრეული იმპერიებიდან დევნილი არისტოკრატების თავშესაფარი.

სწორედ პარიზიდან ებრძოდნენ ბოლშევიკებს რევოლუციის შემდეგ გადახვეწილი ქართველი ემიგრანტები. ებრძოდნენ და სამუდამოდ დაკარგული სამშობლოს კიდევ ერთხელ ხილვაზე ოცნებობდნენ.

როგორი შესავალია? ხომ არის „ნამეტნავად“ პოეტური?

სამაგიეროდ გაგრძელებაა საკმაოდ პროზაული.

როგორც აღმოჩნდა, დღევანდელ რეჟიმთან ბრძოლის ერთ-ერთი ცენტრიც პარიზში მდებარეობს.

ზუსტად ვერ გეტყვით, თუ რომელ ჯიბეში უდევს საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს ქართული მიწით ავსებული ტომსიკა, მაგრამ „ქართული პარტიის“ პარიზულ და თბილისურ ოფისებს შორის დიდი მისვლა-მოსვლა რომ არის „ატეხილი“, ამას სულ ცოტა კვირაში ერთხელ მაინც ვგებულობთ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებიდან.



ისე, რაღა დაგიმალოთ და, დღევანდელი სახელისუფლებო ტელეარხების საინფორმაციო პოლიტიკა, დიდად არ განსხვავდება ოთხმოცდაათი წლის წინანდელი საქართველოს საინფორმაციო საშუალებების „სტილისგან“.

მათი ძირითადი „მოვალეობა“ პოლიტიკური მოწინააღმდეგეების „ლაფში“ ამოსვრა და საკუთარი ხელისუფლების „არნახულ წარმატებებზე“ ღაღადია.

სწორედ ასეთი „შემართებით“ გადმოსცეს „ქრონიკამ“ და „კურიერმა“ „ქართული პარტიის“ ლიდერის ლევან გაჩეჩილაძის მორიგი „აეროპორტული“ სკანდალი.

ლევან გაჩეჩილაძეს, რომელიც პარიზში ავიაკომპანია „აირზენას“ თვითმფრინავით ეროსი კიწმარიშვილთან ერთად მიფრინავდა, ჯერ ფეხები შემოუწყვია უადგილო ადგილას, შემდეგ ბორტგამცილებლისთვის უგინებია და საბოლოოდ პარიზის პოლიციის მიერ გამოწერილი საკმაოდ გვარიანი ჯარიმაც დაუმსახურებია.

არ ვიცი, თუ სად წარმოიდგენდა თავს „ქართული პარტიის“ ლიდერი, როცა ბორტგამცილებელ გოგონას შეურაცხყოფას აყენებდა, პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე, მიუნხენის აეროპორტში თუ პარიზელ ხელმძღვანელთან დღევანდელი ქართული პოლიტიკური სიტუაციის შეფასების დროს, მაგრამ პარიზის პოლიციის „კლანჭებში“, მაინც აღმოჩნდა.

არადა სიმართლე რომ გითხრათ, „ქრონიკაში“ გასული სიუჟეტი თავიდან იმიტაცია მეგონა (ომი „გააკეთეს“, პრეზიდენტს „პაჟარკამანდის“ მანქანიდან ჩამოსხმული წყალი დაალევინეს, და „აირზენას“ თვითმფრინავი რა ბედენაა), მაგრამ სულ ცოტა ხანში ეს ინციდენტი მთელს საინფორმაციო სივრცეს მოედო და მეც დავიჯერე.

სამწუხაროდ ვერც მე და ვერც ერთმა საინფორმაციო საშუალებამ ვერ მოვახერხეთ „ქართული პარტიის“ თუნდაც რომელიმე ლიდერისგან თვითმფრინავში ჩადენილი ხულიგნობის გამამართლებელი რაიმე მასალის მოპოვება.

„ქართული პარტიის“ თბილისის ოფისში ტელეფონები ან არ მუშაობდნენ, ან გამორთული ჰქონდათ, ხოლო იქ მყოფმა პარტიის წევრებმა კომენტარი არ გააკეთეს (პრინციპში იმათ რა უნდა ეთქვათ, როცა ეროსი კიწმარიშვილს იმ ინციდენტის დროს თურმე ეძინაძ).

**ეჰ, ერთი პატარა ფრაგმენტი გამახსენდა ჰემინგუეის „ფიესტადან“.**

**— გიყვარს პარიზი?**

**— არა!**

**— მაშინ რატომ არ წახვალ სხვა ადგილას?**

**— არ არსებობს სხვა ადგილი.**

**არადა, მართლა მაგარი ქალაქია პარიზი.**

გია გაბრიჭიძე

◉ ახალი კოალიცია

# კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას სურს დაგვაჯეროს, რომ მოსახლეობის უმეტესობას ინფორმაცია არ აინტერესებს

## რას ამტკიცებენ „მედიაადვოკატები“?!

**კიდევ ერთი კოალიცია შეიქმნა, რომელიც მედიაგარემოს გასაუმჯობესებლად იბრძოლებს. თუმცა მასში კვლავ ის ორგანიზაციები გაერთიანდნენ, რომლებიც უკვე დიდი ხანია ამ სფეროს ლობირებენ. მემორანდუმის ტექსტს ხელი თერთმეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მოაწერა: „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“, „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“, „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა“, „საქართველოს რეგიონული განვითარების ინსტიტუტმა“, „რეგიონულმა მედიაასოციაციამ“, ორგანიზაციამ „სამოქალაქო საზოგადოებისთვის“, „რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციამ“, „რეგიონული მაუწყებლების ქსელმა“, „ ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიამ“, „მედიაკლუბმა“ და ფონდმა „ღია საზოგადოება — საქართველომ“.**

ჩვენმა ერთობლივმა მუშაობამ შედეგი გამოიღო, — აღნიშნა კოორდინატორმა **თამარ კორძაიამ,** რომელიც აქამდე „სიას“ სახელით ახორციელებდა მედიის ხელშეწყობის კუთხით მუშაობას. **„ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, უნდა დავიცვათ ჟურნალისტთა ინტერესები, რომელთაც თითქმის ყველა მიმართულებით პრობლემები აქვთ: ეს იქნება ინფორმაციის ხელშეწყობა, გამჭვირვალობის არარსებობა, მათზე ზემოქმედება თუ სხვა. ამიტომ ცალ-ცალკე ბრძოლას კოალიციის შექმნა და ერთობლივი მუშაობა ვამჯობინეთ“,** — აღნიშნა მან.

გასულ კვირას პარლამენტარმა მიიღო კანონი მაუწყებლობებში ფინანსური გამჭვირვალობის შესახებ. ამ კანონპროექტის შექმნაში სწორედ ეს ორგანიზაციები მონაწილეობდნენ და აქტიურობდნენ კიდეც. **„ეს არ არის ოპტიმალური ვარიანტი, ჩვენ ბევრად უკეთესი კანონის შექმნა გვინდოდა, — აღნიშნა ჟურნალისტმა ზვიად ქორიძემ, რომელიც კლუბ „ფრონტლაინ ჯორჯიაში“ კოალიციის პრეზენტაციას უძღვებოდა. — თუმცა ამ ეტაპზე ესეც დიდი მონაპოვარია. ჩვენ გავაგრძელებთ კანონპროექტის მომზადებას და ყველა ბერკეტს გამოვიყენებთ ჟურნალისტებისთვის კომფორტული სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად“.**

აღსანიშნავია, რომ კოალიცია, რომელსაც „მედიის ადვოკატირებისთვის“ ჰქვია, სასამართლო პროცესებს არ აწარმოებს, შესაბამისად ისინი არც უშუალო ადვოკატები იქნებიან, მაგრამ მედიაგარემოს გასაუმჯობესებლად ინტელექტუალურ ფონს და სამართლებრივ ნორმებს შექმნიან. ისინი უკვე აქტიურად ჩაერთვნენ მარეგულირებელი კომისიის მონიტორინგის პროცესში. ამ ორგანიზაციას 6 წლის განმავლობაში თითქმის არაფერი უკეთებია, თუმცა 5 აპრილს გამართა სხდომა, სადაც ანგარიში წარმოადგინა. 18 აპრილს ტელე და რადიო რეგულაციის პრიორიტეტები უნდა დაამტკიცონ, სადაც კოალიციის წევრებიც იქნებიან მიწვეულნი.

ჟურნალ „ლიბერალის“ რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** მარეგულირებელი კომისიის ანგარიშით უკმაყოფილოა. **„წინა სხდომაზე ძალიან ბევრი სადავო საკითხი გამოიკვეთა. მათ BCG-ის გამოკითხვები გამოაქვეყნეს, რომლის მიხედვით მოსახლეობას უმთავრესად გასართობი გადაცემები აინტერესებს და პოლიტიკურ შოუებზე მოთხოვნა მხოლოდ მე-8 ადგილზეა. ეს ანგარიში რამდენიმე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევებს აშკარად ეწინააღმდეგება. მაგალითად IARS-ის მიხედვით, მოსახლეობის 75 პროცენტს მრავალფეროვანი ინფორმაცია აინტერესებს. დიდი მოთხოვნაა საგამოძიებო ჟურნალისტიკაზე. ადამიანები დიდ როლს ატარებენ ტელევიზორთან და არხიდან არხზე რთავენ იმისთვის, რომ ინფორმაციები მოისმინონ. თუ დავიმოწმებთ NDI-ის უახლოეს კვლევებს, მოსახლეობა ინფორმაციას სწორედ ელექტრომაუწყებლიდან ისმენს და ტელევიზიებს შესაბამისი რეიტინგებიც აქვთ. მარეგულირებელ კომისიას ვთხოვეთ, გაეთვალისწინებინა საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები, რაზეც უარი მივიღეთ. ასე რომ ვნახოთ, ჩვენ 18 აპრილის სხდომასაც დავესწრებით, სადაც კომუნიკაციების კომისია პრიორიტეტებს მიიღებს. დავაკვირდებით პროცესს და სადაც შეიძლება ჩარევა, ჩავერევით“.**

სავარაუდოდ, კოალიცია არსებით გავლენას ვერ მოახდენს მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებაზე, რადგან ის დაამტკიცებს იმას, რასაც დაავალებენ. ამ შემთხვევაში მთავარია სახელმწიფო ნება, თორემ როგორც კოალიციის წევრებიც ამბობენ, მაინცდამაინც არც ისეთი ცუდი კოდექსი გვაქვს, მას რომ ცუდად არ აღასრულებდნენ, ვინაიდან კანონს ყველა საკუთარი ინტერპრეტაციით კითხულობს.

**ის, რომ ჟურნალისტთა უფლებების დასაცავად ამ ბოლო დროს უსწრაფესი ტემპით იქმნებიან ორგანიზაციები, ნათელი დასტურია იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ სფეროში პრობლემებია. კიდევ უფრო დიდი პრობლემები აქვთ რეგიონებში, ალბათ, ამითაც არის განპირობებული, რომ კოალიციაში ყველაზე მეტი რაოდენობით სწორედ რეგიონული მედიის ლობისტები შედიან.**

**კოალიციაში გაწევრება ნებისმიერ ორგანიზაციას შეუძლია, რომელიც მედიის ადვოკატირების საკითხებზე მუშაობს და კოალიციის მიზნებს იზიარებს.**

თეა მოსია

◉ „პროფაშისტური რეპლიკა“

# „კოზა ნოსტრას“ შავი იუმორი თუ ქართული ქსენოფობია?

## ...ამჯერად მინისტრ ვარძელაშვილის გადადგომას ითხოვენ

**ადამიანის უფლებათა ცენტრი სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს მოუწოდებს, თანამდებობიდან გადადგეს და ამის გამო არათუ პარლამენტს, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსს მიმართავს. უფლებადამცველები ჩვენს ქვეყანაში ბოლო დროს დამკვიდრებული ფაშისტური გამონათქვამებისა და ქსენოფობიური გამოხდომების გამო არიან შეშფოთებულნი და ამის შესახებ ინფორმაციას ავრცელებენ.**

ადამიანის უფლებათა ცენტრი 2 აპრილს ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „მხიარულთა და საზრიანთა კლუბს“ ეხმიანება და აღნიშნავს, რომ იქ პროფაშისტური და ანტისემიტური რეპლიკა გაისმა. კერძოდ, შეკითხვაზე – „ჰიტლერის საუკეთესო ღირსება“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდმა „კოზა ნოსტრამ“ უპასუხა: „უფასო გაზი ყველა ებრაელის ოჯახში“. ჟიურის წევრები ამის გამო აღფრთოვანდნენ და უმაღლესი შეფასება დაუწერეს. რა თქმა უნდა, დარბაზმაც ოვაციები გამოხატა. ჟიურის წევრები იყვნენ; სარეკლამო სააგენტო „ზებრას“ არტ-დირექტორი ლადო ტატიშვილი, ჟურნალისტი გიორგი გოგიჩაიშვილი, „თბილისი ლაივის“ წამყვანი თიკო სადუნიშვილი, მსახიობი გიორგი ყიფშიძე და, რაც მთავარია, მინისტრი ლადო ვარძელაშვილი.

**ადამიანის უფლებათა ცენტრში აცხადებენ, რომ „კოზა ნოსტრას“ პასუხი არც საზრიანია და არც სამხიარულო. მას ვერც უკბილო ხუმრობას ვუწოდებთ და ვერც შავ იუმორს, ვინაიდან, სინამდვილეში ეს არის ჩვეულებრივი ფაშიზმი, რომელსაც ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოება უნდა გაემიჯნოს. რაც შეეხება მინისტრს ვარძელაშვილს, ის ყველაზე მეტად არის ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე, თუმცა ჟიურის სხვა წევრებსაც, მით უფრო „ცნობად სახეებს“ არანაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებათ. მათ არ უნდა დაუჭირონ მხარი ქსენოფობიას, ანტისემიტიზმსა და ფაშიზმს.**

ადამიანის უფლებათა ცენტრი აცხადებს, რომ მსგავსი ტენდენციები ნაციონალურ ტელეარხებზე ხშირად შეინიშნება. მაგალითად, 2008 წელს თავდაცვის სამინისტროს დაკვეთით დამზადდა კლიპი, რომელიც „საქართველოს“ არხზე გადიოდა. კლიპში ნაჩვენები იყო, თუ როგორ ემზადებიან ახალგაზრდა რეზერვისტები სამხედრო სამსახურისთვის. ვიდეორგოლი ფაშიზმის მამამთავრის ადოლფ ჰიტლერის სიტყვებით მთავრდებოდა: „ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ დაკარგულ ტერიტორიებს ვერც ფორმალური ლოცვითა და ვერც ერთი ლიგის იმედად ვერ დავიბრუნებთ, არამედ – მხოლოდ იარაღის ძალით“. ციტატა დადებით კონტექსტში იყო ნახსენები და გადიოდა მანამდე, სანამ ადამიანის უფლებათა ცენტრმა მკაცრად არ მოითხოვა ეთერიდან კლიპის ამოღება.



რაც შეეხება ტელეკომპანია „იმედს“, მან დაარღვია საქართველოს მაუწყებლობის შესახებ კანონის 65-ე მუხლი, რომლის მიხედვით, იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომელიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობების, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა და სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ“.

**„იმედს“ „მოდელირებული ქრონიკის“ გამო არ მოუხდია ბოდიში, ამიტომ, ალბათ, არც ამის გამო შეშფოთდებიან. არა მგონია, მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხიც აქტუალური გახდეს. მაგრამ ამ ბოლო დროს რომ ებრაელებს ცუდად გადავეკიდეთ და 26-საუკუნოვან მეგობრობას სასწორზე ვაგდებთ, ესეც ფაქტია, ცუდი ფაქტი.**

ნია ფიფია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## დემოკრატია და... ალეგორია?!

***მწერალ მამუკა წიკლაურს ვეკითხები ამას, რომლის ლაკონური, მაგრამ, იმავდროულად, მრავლისმეტყველი ლიტერატურული ჩანაწერების — „გაუფილტრავი ფიქრების“ — პირველი ნაწილი გუშინ წავიკითხე „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე.***

***და წაკითხვისთანავე გამიჩნდა კითხვა: თუ ეს „ჩანაწარები“ მართლაც ამ რვა წლის წინათ დაიწერა, რატომ ჩათვალა ავტორმა მათი „გაფილტვრისა“ თუ „დაღვინებისთვის“ აუცილებლად საჭიროდ დროის ამხელა მონაკვეთი?***

***ხოლო თუ ისინი ახალია, რად მიიჩნია მან ასევე აუცილებლად რამდენიმე მათგანისთვის კონკრეტული „წარსული“ დროისა და ადგილის მინიშნება („თბილისი, მარტი, 2003 წელი“; „2003 წლის მარტის დღიურებიდან“)?***

# „ჭირი“ – იქა, „ლხინი“ – აქა?!

**2003 წლის შემდეგ არც „მარშრუტკაში“ ჩამჯდარხართ და არც მეტროთი გიმგზავრიათ, ბატონო მამუკა?**

**„მეტროს მატარებლის ერთ-ერთ გაჩერებაზე კარი გაიღო და ვაგონში უცებ ბავშვის ტირილი შემოვარდა. ქალს ერთი ბავშვი ხელში ეჭირა, მეორე კი ასე, სამიოდე წლისა, სამათხოვროდ ხელგაშვერილი ყმაწვილი წაემძღვარებინა წინ. ბავშვმა ხმამაღალი ქვითინით ჩაიარა მეტროს მგზავრების გაყინულ სახეებს შორის“ („გაქვავებულ სახეებს შორის ბავშვის ტირილმა ჩაიარა“).**

**„სამარშრუტო ტაქს-ავტობუსი შუახნის ქალმა გააჩერა, კარი გამოაღო და მძღოლს ხმადაბლა ჰკითხა: — მგზავრობის ფული არა მაქვს და წამიყვანთ?**

**— ამობრძანდით! — ყალბი შაურიანივით გადმოუგდო ეს სიტყვა მძღოლმა და მანქანა დაძრა.**

**...მძღოლი ჩვეულებრივი მძღოლი იყო, როგორიც თქვენც გინახავთ და — მეც, მაგრამ ის ბიჭი მთლად კაცობის ზღვარს გადასცდა: — ისე, რა ჩემი საქმეა და მოვალეობაა თქვენი უფასოდ ტარება?... ფული არა გაქვს, დაჯექი სახლში, რა!..**

**...გული მომიკვდა, მაგრამ მეორეს მხრივ მძღოლიც შემეცოდა — რამ აქცია იგი ასეთ შეუბრალებელ არსებად და როდის დაიბრუნებს ის ადამიანის ყველაზე უფრო ადამიანურ თვისებას — თანაგრძნობასა და თანალბობას“ („პატარა მოთხრობა“)?**

და თითქოს ამ ორივე ჩანაწერს ერთნაირად მიესადაგება ავტორის დასკვნა, რომლითაც მეტროში აღწერილი სცენარი მთავრდება:

**„აი, რა დროში ვცხოვრობთ ჩვენ! ესაა ჩვენი დღევანდელი რეალობა... მომავალში კი აბა, ამას ვინ დაიჯერებს?!“**

გააჩნია, ამ „მომავალში“ დროის რა მონაკვეთს გულისხმობთ, ბატონო მამუკა. თუ შორეული მომავალი იგულისხმება, არ ვიცი, მაშინდელნი დაიჯერებენ თუ არა (ღმერთმა ნუ ქნას, რომ დაიჯერონ!ძ, ხოლო თუ ახლო მომავალი ივარაუდეთ, რომლისთვისაც თქვენს მიერ საგანგებოდ მინიშნებული 2003 წლის მერე განვლილი რვა წელი, ვფიქრობ, საკმარისი „სარბიელია“, არა მგონია, ეს ვინმეს ეუცხოოს და არ ირწმუნოს.

და რაც მთავარია, **თუ მართლაც 2003 წლის მარტში შეგძრათ მეტროს ვაგონში გაქვავებულ სახეებს შორის ჩავლილმა ბავშვის ტირილმა, ბატონო მამუკა, მას მერე მეტროში არ ჩაბრძანებულხართ?**

ან იქნებ თქვენც გჯერათ, რომ, ნაცმოელი იდეოლოგების მტკიცების შესატყვისად, **„ვარდების რევოლუციამ“ ყველაფერი რადიკალურად და სასიკეთოდ შეცვალა და მათხოვრები უკვე არა გვყვანან?** ხოლო თუ გვყვანან, თქვენც დაუჯერეთ მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც ერთ უცხოელ კორესპონდენტს უთხრა — **ეს მათხოვრები ქართველები კი არა, ბოშები არიან, რომელთაც მაწანწალობა-გლახაკობა ლამის ცხოვრების წესად აქვთ ქცეული, და რა ვქნათო?**

ნუ კი მიწყენთ, ისე „ჩაგაკურატათ“, რომ იმ მდიდრებს დაემსგავსეთ, რომლებიც მათხოვრებს კი არა, თავიანთ გარშემო ვერვის ამჩნევენ და, თქვენივ სიტყვებით, **„იქით-აქეთ აღარ იყურებიან, ისინი დირიჟაბლად ქცეულ საკუთარ მუცელს მიჰყვებიან“?**

იქნებ ერთობ მწარედაც გამომივიდა ნათქვამი, მაგრამ რა ვქნათ, **„ესაა ჩვენი დღევანდელი რეალობა“,** რომელიც მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გაჭირვებული ყოფის სასიკეთოდ გარდაქმნის თვალსაზრისით ბევრად არ შეცვლილა თქვენს მიერ საგანგებოდ მინიშნებული 2003 წლის შემდეგ.




**და, სწორედ ამის გათვალისწინებით, ერთი კითხვაც, ბატონო მამუკა:** მჯერა, რომ 2003 წელს მეტროს ვაგონში მათხოვარი დედის, „მარშრუტკაში“ კი უფულობის გამო დაჩაგრულ-თავმოყვარეობაშელახული მანდილოსნის საცოდაობამ გატკინათ გული, **„მთლად კაცობის საზღვარს გადაცდენილი და შეუბრალებელ არსებად ქცეული“** მძღოლის საქციელმა კი ლამის ისიც გაფიქრებინათ, ღირს კი ასეთ დროსა და ქვეყანაში ცხოვრებაო, მაგრამ **ნუთუ მაშინ თქვენს მიერ აღწერილზე უარესი მაგალითები და სცენები ჩვენს დღევანდელობაში არც გსმენიათ და არც გინახავთ?**

თუ აღწერილით იმის თქმა, უფრო მეტიც — ხაზგასმა გინდოდათ, რომ ყოველივე ეს **ხდებოდა „იქ“ და „იმ დროს“, ანუ შევარდნაძის ეპოქაში, როცა ჩვენი ცხოვრება გაუთავებელი „ჭირი“ იყო, „აქ“ და „ახლა“ კი, ანუ „ვარდოსნების“ ზეობისას, მთელი ჩვენი ყოფა ერთიანი „ლხინი“ და ბედნიერებააო?**

**არა, მაშინდელი ყოფა მართლაც არ ყოფილა „მურაბა“, მაგრამ არც ამჟამინდელი, ყოველმხრივე დამცრობილი საქართველო რომ არ გახლავთ „თაფლი?“**

მიკერძოებულობას გწამებთ?

არა, ბატონო მამუკა, ვერ დაგეთანხმებით! არავითარი მიკერძოებულობა! ეს **„დღევანდელი რეალობაა“.**

სხვაგვარად, საგანგებოდ არ მიანიშნებდით 2003 წელს, რომლის შემდეგაც ჩვენთვის თურმე სრულიად ახალი და განსხვავებული „ეპოქა“ დამდგარა.

**არადა „იმ“ დროისგან თურმე 180 გრადუსით სასიკეთოდ შემოტრიალებულ დღევანდელობაში მაშინდელზე ბევრად მძიმე, შეუდარებლად მძიმე ფაქტები რომ ხდება?**

**გაუბედურებულ მანდილოსანთა მაგალითი თუ გნებავთ,** მაპატიოს მისმა სულმა შეწუხებისთვის და, **საამისოდ მარტო ქალბატონ ნანა ფიფიას დასახელებაც კმარა, რომელმაც, ცნობილი მიზეზების გამო პროტესტის ნიშნად, მოგეხსენებათ თავი დაიწვა!**

**„მთლად კაცობის საზღვარს გადაცდენილი და შეუბრალებელ არსებად ქცეული“** მამაკაცების მაგალითი გნებავთ?

კი, ბატონო! ამის ნიმუშად თუნდაც ის **სპეცრაზმელები თუ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები გამოდგებიან, ამ რამდენიმე თვით წინათ მშვიდობიანი მომიტინგეები რომ დაარბიეს გმირთა ხსოვნის მემორიალთან და დედის ტოლა ქალებიც კი დაასისხლიანეს.**

სწორედ ასეთი „ვაჟკაცებისა“ და „რაინდების“ საყურადღებოდ წერს ჩვენი გაზეთის წლევანდელი 12 აპრილის ნომერში მათი უკაცურ-უკეთური საქციელით აღშფოთებული ერთი ცნობილი ქალბატონი:

**„მე, 75 წლის ნაშრომი, ნაჯაფი, სულით ავადმყოფთა მკურნალი, უმაღლესი კატეგორიის ექიმი-ფსიქიატრი გაფრთხილებთ! — მომავალ ასეთ ვანდალურ აქციაზე შუაგულ პოლიციელებში თავს ავიფეთქებ! ყურად იღეთ! მე ნანა ფიფია წინა დღეს ვნახე და ველაპარაკე“.**

აი „ესაა ჩვენი დღევანდელი რეალობა“, ბატონო მამუკა, რომელიც, **როგორც მხოლოდ ამ ორი ბოლოდროინდელი მაგალითითაც ჩანს, სასიკეთოდ სულაც არ განსხვავდება თქვენს მიერ მინიშნებული 2003 წელს ნანახი ამბებისგან!**

ამას თქვენს საწყენად და, მით უფრო, ნიშნის მოსაგებად, სულაც არ ვწერ. პირიქით თუ ეს „ჩანაწერები“ მართლაც ამ რვა წლის წინათ არის დაწერილი, იმედი მაქვს, რომ თქვენი კალამი დღევანდელობასაც ასახავს, პირუთვნელად ასახავს, ავსაც და კარგსაც, ცხადია, ისე, როგორც ეს ჭეშმარიტ მწერალსა და მოქალაქეს ეკადრება!

**თორემ იმის წარმოდგენაც კი არ მინდა, რომ ამ დემოკრატიის შუქურა ქვეყანაში ლამის ალეგორიული ფორმით ან წარსული დროის გამოყენებით უწევს შემოქმედს დღევანდელი მწკლარტე ყოფის აღწერა!**

**რუსლან რუსია**

## რეიტინგი

**სრული და არასაკმარისი დემოკრატიები, ჰიბრიდული და ავტორიტარული რეჟიმები — ესაა სახელისუფლებო მმართველობის ოთხი ტიპი, რომელთა მიხედვით მსოფლიოში მეტად ავტორიტეტული ბრიტანული ჟურნალის „ეკონომისტის“ ანალიტიკური კვლევითი კომპანია „ეკონომისტ ინთელიჯენს იუნითი“ მსოფლიოს ქვეყნებს დემოკრატიის ინდექსს ანიჭებს.**

# „ბრმათა“ შორისაც რომ ვერ ვპირველსარდლობთ?!

ბოლო გამოქვეყნებული ინდექსის თანახმად, რომელიც ძირითადად შარშანდელ მონაცემთა ბაზას ეყრდნობა და რომელშიც მსოფლიოს 167 ქვეყანაა გამოკვლეული გარკვეული პარამეტრების მიხედვით, **საქართველო რეიტინგის 103-ე ნომრადაა დასახელებული.**

დემოკრატიულობის ინდექსს „ეკონომისტ ინთელიჯენს იუნითის“ სპეციალისტები ხუთი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით ადგენენ: კერძოდ, ესენია **მთავრობის საქმიანობა, ადამიანის უფლებების დაცვა, სამოქალაქო თავისუფლება, საარჩევნო კოდექსი, ასევე პლურალიზმი და პოლიტიკური კულტურა.**

დემოკრატიის ტიპის მიხედვით, ბრიტანელმა ექსპერტებმა **საქართველო ჰიბრიდული რეჟიმების მქონე ქვეყნების რიცხვს მიაკუთვნეს.** ჰიბრიდული ისეთ რეჟიმს ნიშნავს, რომლის დროს დემოკრატიული ინსტიტუტები სუსტია, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მხრივ სახელმწიფოში პრობლემები არსებობს ისევე, როგორც მედიის, სასამართლო ხელისუფლების თავისუფლებასა და სხვა სფეროებში. ამასთან, **ყველაზე მთავარი მახასიათებელი მაინც მმართველობის ავტორიტარული სტილია.** „ეკონომისტ ინთელიჯენს იუნითის“ სპეციალისტების აზრით, ჰიბრიდული რეჟიმის მქონე სახელმწიფოებში დემოკრატიული პროცესები კი ვითარდება, მაგრამ, ამავე დროს, **დემოკრატიული ტენდენციები ავტორიტარული მმართველობის მეთოდები მყიფე წონასწორობის ზღვარზეა.**

თქმა არ უნდა, რომ 167 ქვეყანას შორის 103-ე ადგილი ქვეყნისთვის, რომელიც თავს იწონებს დემოკრატიული მიღწევებით და მისი ინსტიტუტების განვითარების დონით, ვერაფერი სატრაბახო მიღწევაა. ამ მხრივ ერთი „ნათელი წერტილი“, თუ შეიძლება ამ მხრივ სიტყვა „ნათელი“ საერთოდ ვიხმაროთ, ისაა, რომ ჩვენი უახლოესი მეზობლები ჩვენზე კიდევ უფრო „ღრმა თამაშგარეშე“ მდგომარეობაში არიან. კერძოდ, „ეკონომისტ ინთელიჯენს იუნითის“ ექსპერტთა აზრით, **დემოკრატიულობის რეიტინგით რუსეთი 107-ე ადგილზეა, სომხეთი — 113-ზე, აზერბაიჯანი — 132-ზე.** პოსტსაბჭოურ სივრცეში მათზე უარესი მდგომარეობა დემოკრატიის ხარისხის მიხედვითაა **ყაზახეთში, რომელიც 135-ე ადგილზე აღმოჩნდა.** ამასთან, აღსანიშნავია, რომ სულ სხვა ვითარებაა ბალტიისპირეთის ქვეყნებში, რომელთაგან **ესტონეთს 33-ე ადგილი მიეკუთვნა, ლიტვას — 41-ე, ლატვიას — 48-ე.** თანაც, საქართველოსგან განსხვავებით, ისინი არასრული დემოკრატიების ქვეყნების ჯგუფში შეიყვანეს. საგულისხმოა ისიც, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საქართველოს **მოლდოვაც უსწრებს, რომელსაც 64-ე ადგილი უკავია და — უკრაინაც (67-ე პოზიცია).**

ყველა ქვეყნის ჩამოთვლას აქ, ცხადია, არ შევუდგებით, თუმცა იმას კი ვიტყვით, რომ ჰიბრიდული, ანუ დემოკრატიისა და ავტოკრატიის ნაზავი რეჟიმის ქვეყნებს შორის საქართველოს უსწრებენ ასევე **ბანგლადეში, ნიკარაგუა, ვენესუელა, სენეგალი, კენია, მოზამბიკი, უგანდა...** ამ ქვეყანათა მწკრივში **ჰონკონგისა** და **სინგაპურის** დასახელება, რომელთა მიბაძვას ასე ვისწრაფვით, ნამდვილად უხერხულია ისევე, როგორც ვერაფერი დიდი საამაყოა, თუკი „დემოკრატიულობის შუქურის“ სინათლეზე **ერაყს** და **სიერა ლეონეს** ვუსწრებთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

# ხელებს ამერიკულად გვიგრეხენ, ენას - ინგლისურად!

## ყველამ უნდა ავიმაღლოთ ხმა ქართული ენის დაკნინებისა და დაქცევის პოლიტიკის წინააღმდეგ

(პირველი გვერდიდან)

ქართული ენის ფუნქციონირების ზოგად და კერძო პრობლემებზე ისჯელა აკადემიკოსმა **გუჩა კვარაცხელიამ.** მისი თქმით, ქართული ენის განვითარება ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომელიც დროთა შესაბამისად, სულ უფრო მრავალმხრივი ხდებოდა. ქართული სალიტერატურო ენის ძალთა ამოქმედებისა და სასიცოცხლო უნარის განმტკიცებისათვის განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ქართულად აიდგა ფეხი ყველა მეცნიერებამ. მათი ცნებები წინათ არ არსებობდა და სათანადო ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინები, ცხადია, ძველ ქართულს არ ექნებოდა. „ამის გამო იყო, რომ საშუალო და უმაღლესი განათლება ქართულ ენაზე, ვთქვათ, 1916 წელს ვერ განხორციელდა, თუნდაც რომ შეუძლებელი რამ მომხდარიყო და ამის ნება დაერთო მეფის მთავრობას, — წერდა არნოლდ ჩიქობავა, — მაშინ ორად ორ ქართულ გიმნაზიაშიც კი — თბილისსა და ქუთაისში — ქართულად მხოლოდ ქართული გრამატიკა, ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია ისწავლებოდა, ყველა სხვა საგანი — რუსულად: ფიზიკა-ქიმიის, მინერალოგია-ბოტანიკისა, ალგებრა-გეომეტრიისა თუ ფსიქოლოგიის საკითხებზე მსჯელობა ქართულ ენაზე არ შეეძლო ახალგაზრდას, რომელსაც ქართული გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. **ქართულად აზროვნება ამგვარ სპეციალობაში ჩვენ ახალგაზრდობას პირველად თბილისის უნივერსიტეტმა შეაძლებინა. და ეს მოასწავებდა ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინებას“.**

გუჩა კვარაცხელიას თქმით, ქართულ ენაზე სწავლებამ დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, ცოდნის ყველა დარგისთვის ნაშრომთა ქართულად შექმნამ და მასმედიის როლის გაზრდამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ქართული ენის ფუნქციონირების დიაპაზონი, რამაც ახალი ასპარეზი მისცა მის ამოქმედებას. გამოყენების მრავალმხრივმა სფეროებმა ქართულის პოლივანტოვნობა განსაზღვრა, რაც აისახა ქართულ ფუნქციურ სტილთა (სამეცნიერო, საგაზეთო-პუბლიცისტურ, ოფიციალურ-საქმიანი, საკანონმდებლო, ყოფითი...ძ სისტემების ჩამოყალიბებაში.

პროფესორმა **ავთანდილ არაბულმა** ყურადღება გაამახვილა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის მდგომარეობაზე. მისი თქმით, ბერძნული სიტყვა ეკოლოგია ძირითადი მნიშვნელობით „სახლს“ აღნიშნავს და ამ სიტყვის არა ვიწრო (გვიანდელიძ, არამედ ფართო (პირვანდელიძ შინაარსი იმაშიც ჩანს, რომ ის ამავე დროს „მამულს“, სამშობლოს გამოხატავს. ერთნაირად უკავშირდება როგორც ბუნებას, ისე სამშობლოსა და „სახლს“: „ის „სახლი“ თუ „სამშობლო“, რომელსაც ეკოლოგია გულისხმობს, უწინარესად, ენობრივი სინამდვილეა და მასთან ტრადიციული მიმართებების დარღვევა, მისგან „გასვლა“ სწორედ ენობრივი ეკოლოგიის რყევას მოასწავებს, ვინაიდან არაფერი ხდება გარესამყაროში ისეთი, რაც ენაში არ ჰპოვებდეს ასახვას“.

**ავთანდილ არაბულის აზრით, სადაც არ უნდა გავიხედოთ, ქართულ ენას ყველგან ცეცხლი უკიდია, წართმეული აქვს ის უფლებრივი ტახტი, საბრძანისი, რაც ტრადიციულად ჰქონდა, ან ემუქრება ასეთი რამ. ქართულის როგორც სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობა, უწინარესად, ეროვნულ სკოლასთან არის დაკავშირებული.**

ენათმეცნიერის თქმით, ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა საერთოენობრივი, ნორმატიული სტანდარტის არარსებობაა. უპირველესად, სასკოლო მიზნით არის აუცილებელი სტანდარტიზაცია როგორც გრამატიკული (ენათმეცნიერული ტერმინოლოგიისაძ, ისე სალიტერატურო ენის იმ ნორმებისა, რომელთა თავისუფალი გამოყენება და ინტერპრეტაცია უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

ავთანდილ არაბულმა ყურადღება გაამახვილა სახელმძღვანელოთა გამართულობის პრობლემაზე. მისი თქმით, ქართული ენისა და ლიტერატურის, სხვა საგნების სახელმძღვანელოები სავსეა გამაოგნებელი შეცდომებითო. ასევე, ისაუბრა იმ არასასურველ ტენდენციაზე, რომელიც გულისხმობს ძველი ლიტერატურული ძეგლების შესწავლას ახალი ქართული ენით, „თარგმნილი“ სახით. **„ვფიქრობ, ამის წახალისების დროს სერიოზული სტრატეგიული შეცდომა დაუშვეს. გამოდის, რომ ჩვენ ხელოვნურად ვწყვეტთ იმ ისტორიულ კავშირს ძველსა და ახალ ქართულს შორის, რისი გაწყვეტაც თვითონ ისტორიამ არ ინება.** უკვე კარგა ხანია კომერციულ ბაზარზე არსებობს თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, აგიოგრაფიული ძეგლები, ყველაფერი, რაც კი ძველქართულად არსებობდა. მეტიც, ამგვარი თარგმანები დამტკიცებულ ვიზირებულ სახელმძღვანელოებს ამშვენებს. განსაკუთრებულ „ღირსებად“ უნდა წარმოვიდგინოთ ის, რომ ეს თარგმანები საქმეში ჩაუხედავად არის შესრულებული“.

თანამედროვე ქართული ენის სახელმძღვანელოებში არსებული წარუმატებელი ექსპერიმენტების შესახებ მოხსენებით გამოვიდა პროფესორი **ინეზა იამანიძე.** მან მადლობა გადაუხადა ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის მესვეურებს კონფერენციის ჩატარებისთვის და იმისთვის, რომ მათ პირველებმა გაბედეს და თქვეს, ქართული ენა საფრთხეშიაო.

მისი თქმით, ყველანი ვგრძნობთ, რომ ჩვენი ცხოვრება ჩვენს იქით იგეგმება. ინტეგრაციამ და გლობალიზაციამ გამოიწვია ჩვენთან პროცესები, რითაც მცირე ქვეყნების ფასეულობები კნინდება. „რასაც ჩვენი წინაპრები ქმნიდნენ, უფასურდება — თითქმის აღარაა საჭირო და საქმე იქამდეც კი მიდის, რომ შედევრების შემქმნელთა სახელებიც ნელნელა მივიწყებას ეძლევა“.

ინეზა იამანიძემ ყურადღება გაამახვილა მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციებზე, მათ შორის, უპირველესად, რა იგეგმება გაეროს კონცეფციაში საქართველოსთვის. პრესაში მხოლოდ ერთხელ გამოქვეყნებულა სტატია „გლობალური განათლება დემოკრატიისთვის“, ხოლო კონცეფცია დასათაურებულია ასე — „ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში“.

**ინეზა იამანიძემ წარმოადგინა ამ დოკუმენტიდან ამონარიდები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს „განათლების ხარისხისა და ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესების გზით საქართველოს განათლების სისტემის ინტეგრაცია მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში; სასკოლო განათლების 12-წლიან ციკლზე გადაყვანა; 2015 წლისთვის პროფესიული განათლების სისტემის შრომის ბაზარზე ორიენტირებულ საქონლად გარდაქმნა“.** სწორედ ამ მიზნის განხორციელებას ეძღვნება ის საატესტატო გამოცდები, რომლებიც ტარდება ყოველგვარი საკანონმდებლო ბაზისა და ქაოსის სიტუაციაში.

**„დანაგვიანება ენას არ კლავს. ენას კლავს ერის კვლა. საქართველოში სწორედ ამას ცდილობენ...**

„ენას ავიწროებს მისი გამოყენების შევიწროება. უნდა მუშავდებოდეს კანონი: ქართულის უცოდინრობა არავის ათავისუფლებს მოვალეობისგან, რომ გაიგოს წარწერა „შესვლა აკრძალულია“ და ა. შ. კანონი უნდა ამბობდეს: „ღია სივრცეში არსებული ყველა ტექსტი (წარწერა, მენიუ...ძ გასაგები უნდა იყოს იმისთვის, ვინც ქართულის გარდა სხვა ენა არ იცის; გადაუდებელი ამოცანაა, ასევე, ქართული ენის საკომპიუტერო ანალიზი და მისი მომზადება საკომპიუტერო პროგრამებისთვის“, — დასძინა **ნოდარ ნათაძემ.**

**ჯანსულ ჩარკვიანმა** აღნიშნა, რომ ვერავინ გაუბედავს ბალტიისპირელს, თავისი ენა უარყოს, ვერც — სომეხს და აზერბაიჯანელს. **„აღარაფერს ვამბობ, რისი უფლება აქვს ფრანგს, ინგლისელს, ჩინელს, გერმანელს, იაპონელს... მაგრამ რაღა ჩვენ გამოვიკვეთეთ? რაღა ჩვენ გვიბედავენ ამას? სწორედაც რომ ჩვენ თვითონ ვუბედავთ საკუთარ თავს. აქამდეც უნდა შევკრებილიყავით და სათქმელი გვეთქვა, მაგრამ არის ერთი საოცარი რაღაც — არც პენსიას მოგიმატებენ, იმიტომ რომ ლატაკი და უბედური ადვილად სამართავია. დღეს აღარ არსებობს წიგნიერება. ათასჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ — არ შეიძლება რვა წიგნი გამოსცე იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით და სკოლას უბოძო. შე უბედურო, რა აქვს გოგებაშვილს შენი მისახედი? უნდა მიხედო საერთოდ დედა ენას...“**

ჯანსულ ჩარკვიანის თქმით, ერთობა არის ღმერთობა. ვერ გავერთიანდით, რომ ჩვენი ენაც დავიცვათ, საკუთრებაც, კაცობაც და მეობაც. ბევრმა უნდა ამოიღოს ხმა, რომ შევუძახოთ. „განა მე ინგლისურს უარვყოფ? როგორ გეკადრებათ? მაგრამ როცა შენ აი, აქ „ივერიას“ „ბლუს“ არქმევ, ან შენ აღარ იცი ქართული და ბლუყუნებ, ანდა ცისფერი ხარ... ინგლისურად „ბლუ“ ლურჯს ნიშნავს“.

ქართული მედიის ენა, სტილი და მორალი, — ასე ერქვა პროფესორ **იოსებ ჭუმბურიძის** მოხსენებას. მისი თქმით, ქართული მასმედიის ენა უმძიმეს შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ენობრივ-სტილური თვალსაზრისით, ტელევიზიებისგან განსხვავებით, პრესაში ცოტა უკეთესი მდგომარეობაა. ეს ტენდენცია ლევან ღვინჯილიასაც შეუნიშნავს: „მასმედიის ენობრივ-სტილურ პრობლემებს ბოლო ხანს მორალურ-ეთიკური ასპექტიც დაემატა, გაზეთების ფურცლები და ტელეეკრანი წალეკა ბილწსიტყვაობამ, თითქმის აღარ არსებობს სიბილწე, ტელეკრანიდან რომ არ გვესმოდეს ან ჟურნალ-გაზეთებში არ ვკითხულობდეთ. ჩვენს წინაშე მთელი სიმწვავით დადგა პრობლემა, რომელზეც ანა კალანდაძე თავის დროზე მიგვანიშნებდა: „ბილწსიტყვაობას ქვეყნისთვის ნარკომანიაზე არანაკლები ზიანის მოტანა შეუძლია“.

**ალბათ, აუცილებელია შეიქმნას სპეციალური საბჭო, რომელიც მასმედიაში მორალურ-ეთიკური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს. ღმერთმა დამიფაროს, რაიმე ცენზურის გაჩენის სურვილი მქონდეს. რაღაც მორალურ-ეთიკური ნორმები მაინც აუცილებელია მასმედიისთვის“,** — აღნიშნა იოსებ ჭუმბურიძემ.

პროფესორმა **რევაზ ბალანჩივაძემ** პირველდაწყებითი განათლების დედაენაზე მიღების აუცილებლობის შესახებ წარმოადგინა მოხსენება. მისი თქმით, უცხო ენაზე სწავლების დაწყება, აკაკის აზრით, არა მარტო „საუკუნოდ ღუპავს“ ადამიანს, ანუ აჩლუნგებს მას გონებრივად, არამედ სწავლისადმი ინტერესს უკარგავს.

„წუთით წარმოვიდგინოთ ქართველი, რომელიც სწავლას უცხო ენაზე (მაგალითად, ინგლისურზეძ



იწყებს, — განაგრძო ბატონმა რევაზმა, — ქართული მას, უკეთეს შემთხვევაში, საყოფაცხოვრებო დონეზე, ანუ ქუჩის დონეზე ეცოდინება. შესაბამისად, ის ბარბარიზმები, ჟარგონები, ვულგარიზმები, კალკები, დიალექტიზმები... რომლებსაც ის ქუჩაში ითვისებს, მისთვის ბუნებრივი ქართული იქნება და მათი ხმარებისას არავითარ უხერხულობას არ იგრძნობს. ხოლო რაკი ქუჩაში არავინ ლაპარაკობს შედარებებით, მეტაფორებით, ეპითეტებით, ე. ი. არავინ იყენებს მხატვრულ სახეებს და იდიომებს... ეს შექმნის იმის წინაპირობას, რომ ვერ დაიწერება ქართული ლექსი, ქართული მოთხრობა, ქართული პიესა, ვერ დაიდგმება ქართული ფილმი და სპექტაკლი, ვერ შეიქმნება ქართული მეცნიერული ნაშრომი“, — აღნიშნა რევაზ ბალანჩივაძემ.

აკადემიკოსმა **მარიამ ლორთქიფანიძემ** აღნიშნა, რომ შუა საუკუნეებში უცხოეთში ქართველოლოგიურ ცენტრებში მნიშვნელოვანი გამოცემები ქართულად ითარგმნებოდა და ტერმინოლოგია გვქონდა. მართალია XIX საუკუნეში ეს ტერმინოლოგია დავკარგეთ, მაგრამ როდესაც ივანე ჯავახიშვილმა პეტერბურგში სტუდენტი-ახალგაზრდების წრე ჩამოაყალიბა, სწორედ ტერმინების შეკრება დაიწყო. უნივერსიტეტის გახსნისთანავე ყველა მუშაობდა თავის დარგში ტერმინოლოგიის შექმნაზე, და ამ დიდმა მეცნიერებმა ეს დიდებულად შეძლეს.

„მაღელვებს სახელმძღვანელოების პრობლემა. ყველა საგანს ვგულისხმობ, მაგრამ ამჯერად მე-7 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოზე გავამახვილებ ყურადღებას. თუ სკოლაში სამი მე-7 კლასია, სამივეში სხვადასხვანაირად ასწავლიან.

**აუცილებლად უნდა გამოცხადდეს სახელმძღვანელოების კონკურსი და ძალიან მკაცრი განხილვის შედეგად გამარჯვებული დამტკიცდეს. და ამ სახელმძღვანელოს დაეწეროს, რომ პასუხისმგებელია განათლების სამინისტრო“.**

საქართველოს განათლების ლიგის თავმჯდომარემ **მანანა ნიკოლაიშვილმა** აღნიშნა, რომ ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსი ირღვევა. „ზოგადი განათლების კანონის მიხედვით, სახელმწიფო დაფინანსება უნარჩუნდებათ იმ სკოლებს, სადაც სწავლების ენა არ არის სახელმწიფო ენა, ამის გამო სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის ინტეგრაცია ქართულ გარემოსთან დღემდე ვერ მოხერხდა.

კონსტიტუცია ირღვევა იმითაც, რომ პრეზიდენტმა გამოაცხადა სავალდებულო სახელმწიფო გამოცდა ინგლისურში მაგისტრატურასა და ბაკალავრიატისთვის, ანუ მაგისტრატები და ბაკალავრები დიპლომს ვერ აიღებენ, თუ არ ჩააბარეს გამოცდა ინგლისურ ენაში. ასევე, მასწავლებლებმაც უნდა ჩააბარონ გამოცდა ინგლისურში და მათ ხელფასზე 125 ლარს უმატებენ, ხოლო სხვა საგნებში სერტიფიცირების გასვლისას მხოლოდ 60 ლარს აძლევენ.“

მანანა ნიკოლაიშვილი წუხს, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის შეერთების შემდეგ, ქართული ენის გრამატიკის სწავლება საშუალო სკოლის სივრციდან გაქრა. I-XII კლასებში საათები მკვეთრად შემცირებულია, პროგრამები და სახელმძღვანელოები უვარგისია.

პროფესორმა **რაფიელ ჩიქოვანმა** წაიკითხა მოხსენება „ქართული ენის გამოყენების პრობლემები სამეცნიერო ლიტერატურაში და ტექნიკაში“. მისი თქმით, თუ ენის შენარჩუნება ეროვნულობის შენარჩუნების აუცილებელი კომპონენტია, მაშინ მკვეთრად უნდა დაისვას საკითხი ენის სიწმინდის დაცვის მექანიზმის შემუშავების შესახებ საზოგადოების ფართო მასების ჩათვლით. ასევე, საჭიროა, რომ ახალი ტერმინების შემოტანა ენაში მოხდეს ღრმა მეცნიერული ანალიზის შემდეგ. ყურადღება მიექცეს აბრევიატურის სწორად გამოყენების საკითხსაც. **რაფიელ ჩიქოვანი ფიქრობს, რომ უნდა შეიქმნას ენის სიწმინდის დაცვის ფონდი და გაიმართოს ამ პრობლემაზე რესპუბლიკის მასშტაბის კონფერენცია.**

კონფერენციამ მიიღო მიმართვა და მწვავე დისკუსია გაიმართა. გივი ბოჯგუამ, მანანა გიგინეიშვილმა, გვანცა კოპლატაძემ, ზურაბ ჭუმბურიძემ, ნელი გურგენიძემ, თამაზ ებანოიძემ... აღნიშნეს, რომ ქვეყანაში სახელმწიფო ენის დაცვის პოლიტიკა არ არსებობს. პირიქით — ქართული ენის დაკნინების, დაქცევის პოლიტიკა მიმდინარეობს. განდევნილია მეტყველების ნაწილები, თუნდაც თანდებულები, სამაგიეროდ ხშირად მცდარად გამოიყენება სიტყვა „დაკავშირებით“. ფაქტობრივად, ქართული ენა მეორეხარისხოვან ენად იქცა, რადგან პრივილეგირებულია ინგლისური ენა, რომლის ცოდნის გარეშეც ქართველი სამსახურს ვერ იშოვის, უფრო მეტიც — სამსახურიდან დაითხოვენ.

**ითქვა ისიც, რომ ასეთ ვითარებაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნა დაგვჭირდება. აუცილებელია სახელმძღვანელოების განხილვა და საფუძვლიანი კრიტიკული წერილების გამოქვეყნება, შეკრებილთა სულისკვეთება ერთიანი იყო — ახალგაზრდობა უნდა შემობრუნდეს რუსთაველის, ილიასა და აკაკის, ვაჟას და გალაკტიონის ენისკენ. ქართული ენა არის მათი კულტურის საუნჯე, სული და გული, და თუკი ქართული ენა მოკვდება, მოკვდება ქართველი ერიც, და ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენი თაობა ამას მოესწროს.**

თამარ შაიშმელაშვილი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ო, ენავ ჩემო!..

# ქართული ენის გადარჩენა ხელისუფლების სერიოზული საფიქრალი უნდა იყოს!

## ღია წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით ბაქრაძეს

საქართველოს პარლამენტმა სისტემატური და კანონიერი რეაგირება უნდა მოახდინოს ქართული ენის გადარჩენისადმი მიძღვნილ, მასმედიაში, განსაკუთრებით პრესაში გამოქვეყნებულ სერიოზულ პუბლიკაციებსა და აქტუალურ პრობლემებზე. ხმამაღლა ნათქვამად თუ არ ჩამეთვლება, ასეთებად ვთვლი ჩემს მიერ გამოქვეყნებულ არაერთ სტატიას. შეგახსენებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანის სათაურს: **„ოღონდ ქართულად ვილაპარაკოთ“** (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 28.09.07), **„გადავარჩინოთ ქართული ენა“** („საერთო გაზეთი“, 08.04.09), **„ვაითუ ჩვენი ენა ქართული ისტორიის კუთვნილება გახდეს“** (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 14.01.10), **„ენა გადავარჩინოთ, ქართველებო!“** (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 19.10.10), **„გადავარჩინოთ ქართული ენა!“** (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 01.02.11). აღნიშნული პუბლიკაციები, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთია იმ წერილებთან შედარებით, რომლებსაც სისტემატურად და მაღალ პროფესიულ დონეზე აქვეყნებენ ქართული ენის თვალსაჩინო, თავგადაკლული სპეციალისტები. ვინმე რომ არ გამოგვრჩეს, შეგნებულად არავის გვარს არ ვასახელებ.

მათთან ერთად, წლების განმავლობაში ვამტკიცებდით და ვამტკიცებთ, რომ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ევალება:

**გაადარჩინოს ქართული ენა დამახინჯების, გადაგვარების, დაკნინებისა და განადგურების საფრთხისგან;**

**დაიცვას ქართული ენა ბარბარიზმის, კალკის, მიბაძვისა და სხვა სიმახინჯეებისგან;**

**აამოქმედოს და აალორძინოს ზეპარტიული, პოლიტიკურად მიუკერძოებელი, ზოგადეროვნული, თუნდაც საქართველოს პარლამენტის მფარველობაში მყოფი ორგანიზაცია „ენის სახელმწიფო პალატა“, რომელიც იზრუნებს ენის სიწმინდის შესანარჩუნებლად, მის გადასარჩენად და გასაძლიერებლად;**

**გაააქტიუროს და ხელი შეუწყოს სათანადო ლექსიკისა და დარგობრივი კვლევითი ცენტრების საქმიანობას, სწორი მეტყველების საჯარო პროპაგანდას ტელევიზიის, რადიოსა თუ პრესის დახმარებით, სათანადო სახელმძღვანელოების შექმნას, ქართული ენის მასწავლებლების მომზადება-გადამზადებას, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის განმტკიცებას და სხვ.**

ყველაფერი ეს კიდევ უფრო დამაჯერებლადაა ჩამოყალიბებული 2010 წლის 16 ოქტომბერს, „დედაენის საზოგადოების“ მიერ მიღებულ „დედაენის დაცვის მანიფესტში“. ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, საზოგადოებამ თავისი საქმიანობა გარკვეული დროით შეაჩერა! ყოველ შემთხვევაში, მანიფესტის მიღებიდან 5 თვეზე მეტი დროის გასვლის მიუხედავად, „დედაენის საზოგადოებას“, ქართული ენის გადარჩენის მიმართულებით და „დედაენის დაცვის მანიფესტის“ რეალიზაციის თვალსაზრისით თითი-თითზე აღარ დაუკარებია. მეტიც, **მისი წევრები ამ მისიით ერთხელაც აღარ შევკრებილვართ.**

ხელისუფლების მხრიდან, ამ საშვილიშვილო პრობლემაზე სათანადო რეაგირების მიზნით, 2011 წლის 4 თებერვალს, თქვენ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, პირადად გააცნოთ წერილი (№1077ძ, რომელშიც შავით თეთრზე წერია: **„პრობლემა კომპლექსურია და ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით ყველაფერი არ მოგვარდება. აქედან გამომდინარე, გთავაზობთ, პრობლემის მკვდარი წერტილიდან დაძვრის პირველი ეტაპის კონკრეტულ წინადადებას: საქართველოს პარლამენტმა მიიღოს კანონი ან სათანადო ჩასწორება კანონში „რეკლამის შესახებ“, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად, გარკვევით ჩაიწერება, რომ ვაჭრობისა და მომსახურების ნებისმიერ ობიექტს, აგრეთვე წარმოება-დაწესებულებებს, საკუთრების ფორმების მიუხედავად, სარეკლამო აბრები, წარწერები, სახელწოდებები და მათი დანიშნულების გამომხატველი ნებისმიერი მინიშნება, როგორც წესი, გაუკეთდეს ქართულ ენაზე და მხოლოდ ამის შემდეგ, შედარებით მცირე ზომებით, რომელიმე უცხო ენაზე.**

**სასურველია, პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების, აგრეთვე დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტებმა, შესაბამის სტრუქტურებთან ერთად, მოამზადონ სათანადო კანონპროექტი და არსებული რეგლამენტის შესაბამისად, მისცენ მას მსვლელობა.**

**ბატონო დავით, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი აქტიური მხარდაჭერის გარეშე პრობლემა მკვდარი წერტილიდან არ დაიძვრება“.**

საგულისხმოა, რომ ჯერჯერობით ამ წერილზე სათანადო და ოპერატიული რეაგირება არ მომხდარა.

საყოველთაოდ მიღებული წესია, რომ კანონს, ბრძანებას, განკარგულებას ვინც გამოსცემს, ჯეროვანი კონტროლიც უნდა დააწესოს მის შესრულებაზე. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, არასათანადო ყურადღების გამო, პრაქტიკულად არ სრულდება. თავს უფლებას ვაძლევ და შეგახსენებთ ამ კანონის ზოგიერთ პუნქტს, რომელთა შესრულებაზე სათანადო კონტროლის არარსებობის გამო, რთულად გამოსასწორებელი პრობლემები შეექმნა მშობლიურ ენას. აი ზოგიერთი მათგანიც:

— კანონში, გამოყენებული ტერმინების განმსაზღვრელ პუნქტში (მუხლი 3, პ. 1), ხაზგასმით არის ჩაწერილი, რომ „რეკლამა...გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის“. აქსიომაა, რომ



მხოლოდ უცხო ენაზე შესრულებული რეკლამა არ არის და არც შეიძლება იყოს გამიზნული პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, ანუ ყველა ქართველისათვის;

— „რეკლამა... გასაგები უნდა იყოს სპეციალური ცოდნისა და ტექნიკური საშუალებების გამოუყენებლად“ (მუხლი 4, პ. 1);

— „რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე“ (მუხლი 4. პ. 2);

— „უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში)... არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას“ (მუხლი 4, პ. 3);

— „ორენოვანი მანათობელი წარწერების გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა „ქართულიც და უცხოურიც“ იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი (მუხლი 4, პ. 4).

დამეთანხმებით, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პუნქტი საქართველოში, ძალიან ხშირად უხეშადაა დარღვეული;

კანონის მე-4 თავი (პუნქტი 17), რომელიც ეძღვნება სახელმწიფო კონტროლს რეკლამის სფეროში, ნათლადაა ჩაწერილი, რომ: „ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო ახორციელებს... რეკლამის კანონმდებლობის შესრულების სახელმწიფო კონტროლს; იღებს გადაწყვეტილებას არასათანდო რეკლამის სრულად ან ნაწილობრივ შესრულებასა და კონტრრეკლამის განხორციელებაზე; უფლება აქვს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევს, კანონით დადგენილი წესით დააკისროს ადმინისტრაციული სახდელი; უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე; რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების ეკონომიკური აგენტების მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნებით“.

განხილული კანონის მე-6 მუხლით, რომელიც გარე რეკლამის რეგულირებას ეხება, მკაფიოდაა ჩაწერილი, რომ „ამ მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელნი არიან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები“. არ მესმის, რა უნდა ჩაეწერა კანონპროექტის ავტორს კიდევ, რომ ზემოაღნიშნული კანონის ეს პუნქტები მკვდარშობილნი არ ყოფილიყვნენ?!

პრობლემისადმი კანონის ამგვარი დამოკიდებულების პირობებში, სერიოზული მცდელობის მიუხედავად, ქვეყნის ადგილობრივი მმართველობის არც ერთი ორგანოს წლიურ ანგარიშში არ აღმოჩნდა არც ერთი ფაქტი, რომ ისინი სათანადოდ აკონტროლებენ და იცავენ ზემოაღნიშნული კანონის ძირითად მოთხოვნებს.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ **დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს კანონის მე-6 მუხლის მე-8, აბსურდული პუნქტი, რომელშიც ვკითხულობთ: „ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) ოფისზე ნებისმიერი ფორმით (აბრა, სტენდი და ა.შ.) განთავსებული ნებისმიერი ზომის წარწერა, რომელიც აღნიშნავს, რომ ამ ოფისში არის განთავსებული ესა თუ ის ობიექტი, სავაჭრო ფირმა, რესტორანი და ა.შ. არ შეიძლება ჩაითვალოს რეკლამად, თუ ის არ არის დაშორებული ამ კონკრეტული ობიექტიდან 1,5 მეტრით მაინც.“ დამეთანხმებით, რომ ამ პუნქტს ხელოვნურად შემოაქვს გაუგებრობა კანონში, რათა „წყალწაღებული ხავსს მოეკიდოს“.**

ვთხოვ ყველას, ვისაც ხელეწიფება და ვინც იზიარებს ჩემს პოზიციას, იურიდიული შეფასება მისცეს ამ წერილში ჩამოთვლილი საქართველოს კანონის დამრღვევთა მოქმედებებს და არსებული წესის ფარგლებში დააყენოს მათი პასუხისმგებლობის საკითხი.

დაინტერესებულ პირთათვის დამატებითი, კონკრეტული ფაქტების მიწოდებაზე ვალდებულებას ჩვენს თავზე ვიღებთ.

**ანზორ ბაბუხადია,**
საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი,
იაკობ გოგებაშვილის მედლის ლაურეატი

## სტუდენტური მემორანდუმი

# ახალგაზრდები უკანონობის და უსამართლობის წინააღმდეგ ერთიანდებიან

**ახალგაზრდულმა მოძრაობა „ივერიელებმა“ გამოაქვეყნა სტუდენტური მემორანდუმი, რომლის მიზანი სტუდენტების უფლებების დაცვა, სიტყვის თავისუფლება, ერთიანობა, უმაღლეს სასწავლებლებში არსებული პრობლემების აღმოფხვრა და გუნდური მუშაობაა.**

**„ივერიელები“, სამი თვეა, რაც არსებობს და 21 უნივერსიტეტის 350 სტუდენტს აერთიანებს, აქედან 230 ახალგაზრდა უშუალოდ მუშაობდა მემორანდუმზე.**

**სტუდენტური გეგმების და პრინციპების შესახებ „ივერიელების“ ხელმძღვანელი ლევან კოჭლაშვილი გვესაუბრება:**

— მემორანდუმი უპრეცედენტოა, რადგან ასეთი დოკუმენტი არც ერთ ქვეყანაში არ მიულიათ სტუდენტებს. ვფიქრობ, ჩვენი მუშაობა მრავალწლიანი იქნება და ბევრ სტუდენტს გააერთიანებს.

**— რა პოლიტიკური მიზნები გაქვთ?**

— არანაირი პოლიტიკა. ეს გაერთიანება აბსოლუტურად აპოლიტიკურია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ორი ადამიანის საუბარი და აზრთა გაცვლა უკვე პოლიტიკაა, შეიძლება პოლიტიკურიც იყოს, მაგრამ რეალურად პოლიტიკური მიზნები და მოტივები არ გვამოძრავებს.

**— თუკი საქმეს სტუდენტების თანადგომა დასჭირდება, ვთქვათ მიტინგებში მონაწილეობა, როგორ მოიქცევით?**

— ჩვენ იქ ვიქნებით, სადაც სიმართლე იქნება. ჩვენ ახალგაზრდების ის ნაწილი ვართ, რომელიც ჯანსაღ ორგანიზმთან ითანამშრომლებს, მე არ შემიძლია, ორგანიზაციის სახელით რომელიმე პარტიის მიმართ სიმპათიები გამოვხატო. წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ჩვენ ყველა ერთად ვმუშაობთ და ნებისმიერ გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით ვიღებთ.

**— რას გეგმავთ უახლოეს მომავალში?**

— ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი სტუდენტი შემოგვიერთდეს, ძალა ერთობაშია, შემდეგ დავიწყებთ ბრძოლას უკანონობის და უსამართლობის წინააღმდეგ. სტუდენტური მემორანდუმი თბილისს გასცდება. დაიწყება რაიონებში გასვლა. მოვაწყობთ ერთ დიდ შეხვედრას ქუჩაში, მობილიზაციას გამოვაცხადებთ, რათა საზოგადოებამ მოგვიხსნას „მძინარე ახალგაზრდობის“ ბრალდება. ყველას დავანახვებთ ჩვენ ძალას და ეს იქნება გზავნილი მთავრობისთვის, რომ სტუდენტური მოძრაობა არსებობს საქართველოში.

**ახალგაზრდები ხელმძღვანელობენ ისეთი ღირებულებებით როგორიც არის: საქართველოს სიყვარული, სიტყვის თავისუფლება და ქვეყნის გაერთიანება.**

**ხატია ცარციძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

გლობუსი

# იქნება თუ არა ცივილიზაციათა დაპირისპირება

**2011 წლის 4 აპრილის ჟურნალ „ტაიმის“ ყდას ლიბიის რევოლუციის ლიდერის პოლკოვნიკ მოამარ კადაფის პორტრეტი ამშვენებს. არ გამიკვირდება, თუ სახელგანთქმული ამერიკული ჟურნალი წლის ბოლო ნომერს კადაფის მიუძღვნის, როგორც წლის კაცს, ანუ 2011 წლის ყველაზე პოპულარულ პოლიტიკურ ფიგურას. კადაფიმ თავისი უშიშრობით და შეუპოვრობით აშკარად მიიპყრო მთელი მსოფლიოს ყურადღება. ხუმრობა ხომ არაა, გაუძლო სუპერ სახელმწიფოსა და მისი ევროპელი თანამგზავრების სამხედრო არმადას, პერმანენტულ საჰაერო თავდასხმებს, ნგრევას, სასიცოცხლო ობიექტების, მათ შორის საავადმყოფოების მიწასთან გასწორებას, მშვიდობიანი მოსახლეობის უმოწყალო ხოცვას, წლების განმავლობაში შექმნილი ინფრასტრუქტურის განადგურებას, „დემოკრატიული“ დასავლეთის, ქვეყნის ამბოხებული აღმოსავლეთისთვის მტკიცე მხარდაჭერას. გმირობის ტოლფასია აბობოქრებული დასავლური ცუნამისათვის თუნდაც რამდენიმე დღით გაძლება. აქ კი თითქმის ერთ თვესთან გვაქვს საქმე. ყველასაგან, მათ შორის, არაბული ქვეყნების ლიგისგან მიტოვებული კადაფი ჰეროიკულად იტანს ყოველივეს და არა თუ იტანს, მეამბოხეებისგან ათავისუფლებს 18 თებერვლის შემდეგ დაკარგულ ქალაქებს.**

ჟურნალ „ტაიმში“ დაბეჭდილ ფოტოს ასეთი კითხვა აქვს წამძღვარებული – **რა იქნება, რომ არ წავიდეს?** ეს კითხვა ხანჯალივით აპობს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ნაჩქარევად მიღებულ რეზოლუციას. დოკუმენტის არსი მდგომარეობს კადაფისგან მშვიდობიან ლიბიელთა დაცვაში, თუმცა ამ კეთილშობილური გადაწყვეტილებით თვით დასავლური კოალიცია გამოდის ლიბიელთა გასანადგურებლად. კოალიციის ზედიზედ სამმა საჰაერო თავდასხმამ არა მარტო მშვიდობიანი ლიბიელების სიცოცხლე შეიწირა, არამედ კადაფის წინააღმდეგ მებრძოლი მეამბოხეებიც. შევცდითო, აცხადებენ კოალიციონერები.

**როგორც ჩანს, აშშ-მა, არც ნატომ და არც არაბული ქვეყნების ლიგამ არ იციან როგორ მოიქცნენ, თუ პერმანენტული დაბომბვით „დაშინებული“ კადაფი თავქუდმოგლეჯილი არ გაიქცევა. ტუნისისა და ეგვიპტის პრეზიდენტების მაგალითები კადაფისთვის მიუღებელია.**

კოალიცია იღბლიანი იქნებოდა, კადაფი რომ გადამდგარიყო, დაღუპულიყო ან მისი არმია პოლკოვნიკის წინააღმდეგ ამხედრებულიყო, მაგრამ იღბალი ხომ სტრატეგია არ არის?! კოალიციას ისღა დარჩენია, გაამძაფროს პოლიტიკურ-ეკონომიკური ზეწოლა კადაფზე, აიძულოს ის, ჩამოშორდეს ხელისუფლებას. იმავდროულად დასავლეთმა უნდა შეაიარაღოს და გაწვრთნას ამბოხებულები. გარდა ამისა, თვით ამოუდგეს მხარში მათ სახმელეთო ოპერაციების დროს, მაგრამ სახმელეთო ოპერაციებთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოს რეზოლუცია რომ არაფერს ამბობს? მასში ცვლილების შეტანა ან ახლის მიღება, შექმნილი ჩიხური ვითარებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იქნება. ამჯერად როგორც რუსეთი, ისე ჩინეთი სახმელეთო ოპერაციას მხარს არ დაუჭერენ.

**კადაფიმ გააკეთა თავისი საქმე – დაარწმუნა რა მსოფლიო, განსაკუთრებით არაბული სამყარო, რომ სურვილის შემთხვევაში თავისუფლად შეიძლება ბრძოლა ძლიერთა ამა ქვეყნისა წინააღმდეგ. კადაფის ქმედებას დასავლეთი სიჯიუტედ აღიქვამს, მაშინ, როდესაც არაბული ქვეყნების მოსახლეობა, ჰამასი და ჰესბოლა – გმირობად. გაჭიანურებული ომი კიდევ უფრო გააღრმავებს მუსლიმანთა ისედაც გაღიზიანებულ დამოკიდებულებას ქრისტიანთა მიმართ, რაც თავისთავად გამოიწვევს ამ უკანასკნელთა ამხედრებას. დღემდე ჩუმი, დაგუბებული ბოღმა სხვაგვარად შეიძლება გადმოდინდეს.**

აშშ-ს ერთ პატარა ქალაქში პასტორმა საჯაროდ დაწვა ყურანი, რამაც ათეულათასობით აღშფოთებული ავღანელი გამოიყვანა სახლებიდან. შეურაცხყოფილი ავღანელების კოალიციაზე შეტევას მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის გაეროს წარმომადგენლების. პასტორს რომ ყურანი საკუთარ ეზოში ჟურნალისტებისგან ფარულად დაეწვა, შორეულ ავღანეთში ამბოხება არ მოხდება, მაგრამ პასტორმა აქცია საჯაროდ ჩაატარა, რაც უმალ მოედო მსოფლიოს. მან ისიც დაიძახა, რომ მომავალშიც ჩაატარებს მსგავსს. ღვთის მსახურის ქცევა უმალ დაგმო ოფიციალურმა ვაშინგტონმა, თუმცა ამით ავღანელთა სისხლიანი აქცია არ შეჩერებულა. პასტორის საქციელი ნებით თუ უნებლიედ დაპირისპირებისკენაა მიმართული, რაც ერთობ საშიში და დასაფიქრებელია, ვინაიდან ცივილიზაციათა შეჯახება ძვირი დაუჯდება მსოფლიოს.

მსოფლიო რელიგიათა შორის ლომის წილი მუსლიმანებსა და ქრისტიანებზე მოდის. **1990 წლის მონაცემებით მსოფლიო მუსლიმანთა რაოდენობა თუ 1.1 მილიარდს ითვლიდა, 2030 წლისთვის 2.2 მილიარდს მიაღწევს, რაც მსოფლიო მოსახლეობის (8.3 მილიარდი) 26.4 პროცენტი იქნება. მოსახლეობა გაიზრდება ისეთ მუსლიმანურ ქვეყანაში, როგორიც პაკისტანია და 256 მილიონს გაუტოლდება. საერთო ჯამში ინდოეთის სუბკონტინენტზე – ბანგლადეშში, ინდოეთსა და პაკისტანში არსებულ მოსახლეობაში მუსლიმთა რაოდენობა 700 მილიონამდე გაიზრდება. მოახლეობის ზრდას ვარაუდობენ ავღანეთში – 50 მილიონი, ნიგერიაში,სხვა მუსლიმანურ ქვეყნებში.** შედარებით მოკრძალებული ზრდაა მოსალოდნელი ირანში, ვინაიდან ამ ქვეყანაში შობადობა მკაცრ კონტროლს ექვემდებარება. რთულ ვითარებაში აღმოჩნდება ისრაელი, ვინაიდან პალესტინის მოსახლეობის მატება სხვა მუსლიმანურ ქვეყნებთან შედარებით აქ ყველაზე მაღალია. თვით ისრაელში მუსლიმანური მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის სამი მეოთხედი იქნება. აშშ-ში 2030 წლისათვის მუსლიმანი მოსახლეობა 3 მილიონიდან 6.2 მილიონამდე გაიზრდება, ანალოგიური ვითარება იქნება საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში, ინგლისში, ევროპის სხვა ქვეყნებში.

სპეციალისტთა აზრით, მუსლიმი მოსახლეობის ზრდა მთელი რიგი ფაქტორებითაა გამოწვეული, მათ შორის ქალთა ადრეულ ასაკში გათხოვებით და ხელოვნური გზით ორსულობის შეჩერებაზე უარის თქმით. შარიათი კრძალავს ამას. ექსპერტთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ 20 წლის შემდეგ ევროპაში თვალშისაცემი იქნება მუსლიმი მოსახლეობა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიიდან, არაბეთიდან, თურქეთიდან. ევროპის ქალაქების ჰორიზონტებს გადაჰკვეთს ცადაჭრილი მინარეთები. დღესაც მეჩეთების რაოდენობა ისედაც საგრძნობია. **მუსლიმი მოსახლეობის ზრდამ თავი იჩინა რუსეთშიც. გასულ წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგად რუსეთმა 2,2 მილიონი ადამიანი დაკარგა და მოსახლეობის საერთო რაოდენობით 143 მილიონი შეადგინა. მოსახლეობის ზრდა დაფიქსირდა ჩრდილო კავკასიაში, ცხადია მუსლიმანთა ხარჯზე. ექსპერტთა კვლევით ქრისტიანთა რაოდენობა 2030 წელს 2.3-3 მილიარდს მიაღწევს, ანუ მსოფლიო მოსახლეობის 30-35 პროცენტს.**

დასავლეთი დიდ ყურადღებას უთმობს მსოფლიო მოსახლეობის ზრდის საკითხებს, განსაკუთრებით აღმსარებლობას. ბევრი მიიჩნევს, რომ ეს თემა მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკას და, რაც მთავარია, მსუყე ნიადაგს ქმნის დაპირისპირების საქმეში. ორი პოლუსის – სოციალიზმისა და კაპიტალიზმის წაშლის შედეგად, ეულად დარჩენილ დასავლეთს, მძლავრი სამხედრო მანქანის და სტრუქტურის შესანარჩუნებლად ახალი გამოწვევა, ანუ, მარტივი ენით, საკუთარი არსებობის გამამართლებელი არგუმენტი ესაჭიროება.



სოციალისტური ბლოკის ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე, დასავლეთთან ვაჭრობაში ჩართული საბჭოთა ლიდერები, წამითაც არ ფიქრობდნენ, რომ დასავლეთის სიტყვიერ დაპირებას, რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა, ბლეფი გამოდგებოდა. ვარშავის პაქტის გაუქმებას არ გამოუწვევია ნატოს სამხედრო ბლოკის გაუქმება. ამაო იყო ახალი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კოზირევის ოცნებაც ნატოში რუსეთის გაწევრების თაობაზე. თუ რით დასრულდა რუსული ლიბერალიზმი, კარგადაა ცნობილი. ნატომ არათუ კარი გაუხსნა, არამედ ზედ საზღვარზე მიაყენა სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურა. და რომ არა საქართველო-უკრაინის ვარდ-ნარინჯოვანი ხელისუფლების ქარაფშუტობა, ნატო ახალ მთვარისებრ რკალში მოაქცევდა რუსეთს – დასავლეთიდან უკრაინის, სამხრეთიდან საქართველოს სახით. თუმცა ამ ქვეყნების ნატოში ჩართვის გეგმა სამარადისოდ არ დასამარებულა. ის დროებით შეჩერდა, სხვადასხვა სუბიექტურ-ობიექტურ მიზეზთა გამო.

**აშშ-ს სამხედრო მანქანა, ისევე, როგორც პოლიტიკა, ნატოს მხარდაჭერით ყველაფერს იღონებს რუსეთის მოსათოკად, გასანეიტრალებლად, საბოლოო ჯამში დასაქუცმაცებლად. ასეთია დასავლეთში გაბატონებული პოლიტიკური თამაშის წესი, რომელიც აშშ-ს მსოფლიო ჰეგემონიზმის განმტკიცებას ემსახურება.**

ამ წესის ცხოვრებაში გატარებას ემსახურება ცივილიზაციათა დაპირისპირებაც, ამერიკელი პასტორის მიერ ყურანის დაწვაც, ლიბიაში წამოწყებული სამხედრო ავანტიურაც, აპატურაის ვიზიტი საქართველოში, საქართველოს მოსახლეობის 71 პროცენტის (ვინ დათვალა?ძ სურვილი, შევიდეს ნატოში და სხვა. მოწინააღმდეგედაკარგული (ვარშავის პაქტიძ ორგანიზაციის დასაქმება ამერიკელთა სერიოზული განსჯის საგანია. ნატოს როლი მარტო ევროპაში არ უნდა შემოიფარგლოს, მან გლობალური მნიშვნელობა უნდა შეიძინოსო – ამბობს ის და ნატო აქტიურად ერთვება ევროპიდან ათეულათასობით კილომეტრზე დაშორებულ ავღანეთში, დღეს კი ლიბიაში, იმ ქვეყანაში, რომლის ლიდერს მრავალი საჩოთირო და დემოკრატიისათვის შეუფერებელი საქმეები აკეთებინეს, მათ შორის მუსლიმთა დაუძინებელი მტრის ისრაელის მოსადის სასარგებლოდ. **და როდესაც დასავლეთმა ჩათვალა, რომ კადაფი საბოლოო ჯამში მაინც მისი არ არის და რომ ეკონომიკააღორძინებული ლიბია თავისთავადი გამოწვევაა დასავლეთის პოლიტიკისთვის არაბულ სამყაროში, მიწასთან გაასწორა ის. ძნელია რით და როდის დასრულდება კადაფის მმართველობა, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დანგრეულ ლიბიას წელში გასწორება გაუჭირდება.**

მტრის ძებნის საქმეში ყველაზე მისაღებია ჰანტინგტონისეული კონცეფცია ცივილიზაციათა შეტაკებასთან დაკავშირებით. მისი არსი ასეთია – ცივი ომის შემდეგ ცივილიზაციათა იმგვარი დაპირისპირება, რასაც ადგილი ჰქონდა ორი სამხედრო ბლოკისა და მიუმხრობელი ქვეყნების სახით, ისტორიას ჩაბარდა. ახალი დაპირისპირება 6-7 მსხვილ ქვეყანას გულისხმობს და პლუს რელიგიათა დაპირისპირებას, ჰანტინგტონის კონცეფციის მომხრეები დღენიადაგ არწმუნებენ მსოფლიო ლიდერებს ცივილიზაციათა შეტაკების გარდაუვალობაში. რომ მუსლიმანთა და ქრისტიანთა დაპირისპირება თითქმის 30 წელია მიმდინარეობს, ჯერჯერობით ყრუდ, სულ უფრო განზე რჩება ტოლერანტობა. მათი აზრით 21-ე საუკუნეში დაპირისპირების საგნად იქცევა ინდუიზმი და კონფუციონიზმი, ორი ცივილიზაცია შესაბამისად დომინანტური ინდოეთსა და ჩინეთში.

არის თუ არა შესაძლებელი დაპირისპირების და, აქედან გამომდინარე, კატასტროფის აცილება? ცხადია, არის, თუ მსოფლიო იხელმძღვანელებს რელიგიათა მრავალსაუკუნოვანი მდიდარი თანაცხოვრების მაგალითებით, მაგრამ გაიზიარებენ ამას ძლიერნი ამა ქვეყნისანი? მასაც იგივე ბედი არ ეწევა, როგორიც ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის მოწოდებას ცივილიზაციათა დიალოგის დაწყებასთან დაკავშირებით? ის, რასაც დღეს აქვს ადგილი, ძნელი დასაჯერებელია. **საკუთარი გამორჩენისთვის ბრძოლას დაუსადგურებია ყველგან. საკუთარი გამდიდრების სურვილი სქელ ფენად აკრავს ადამიანთა გონებას, არ აძლევს მას გასაქანს, საღად აზროვნების საშუალებას. იქნებ არაბთა გამოღვიძებამ აიძულოს დასავლეთი შეცვალოს გამორჩენითი პოლიტიკა? არაბთა ჯანყი უმთავრესად ახალგაზრდათა ჯანყია, მიმართული არა მარტო სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ, არამედ სხვა ქვეყნებთან, უპირველესად აშშ-თან პარიტეტული ურთიერთობების ჩამოყალიბებისკენ. არაბ ახალგაზრდობას ნაკლებად აწყობს დასავლეთის ენერგეტიკული დანამატობა. მას თანაბრობა ხიბლავს, თანაბრობა რელიგიაში, სოციალურ ყოფაში, პოლიტიკაში. არაბთა ოცნება იოლად გადასაწყვეტი არ არის, რამეთუ ის განვითარებულ დასავლეთზეც არის დამოკიდებული. და ბოლოს ყოველივე გონიერებას მოითხოვს, ძალის გამოყენებისგან თავის შეკავებას, დიალოგს და კიდევ ერთხელ დიალოგს, რათა თავიდან იქნას აცილებული ჰანტინგტონისეული შემაშფოთებელი კონცეფცია.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 69. ხუთშაბათი, 14 აპრილი, 2011 წელი.

◎ იურიდიული კონსულტაცია

# ქონებრივი ურთიერთობანი მეუღლეთა შორის

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი



**როგორც დაგპირდით, დღეს საქორწინო ხელშეკრულებაზე გვექნება საუბარი.**

საქორწინო ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უძველესი სამართლებრივი ინსტიტუტია. იგი სათავეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე იღებს. პირველი წერილობითი დოკუმენტი გვხვდება ძველ საბერძნეთში, რომსა და ეგვიპტეში. იმ დროს ქალი და მამაკაცი აფორმებდნენ შეთანხმებას, რომლითაც ადგენდნენ როგორც მათ შორის ქონებრივ ურთიერთობას, აგრეთვე ერთობლივად შეძენილი ქონების მემკვიდრეობის საკითხსაც. ასეთი რამ საძრახისად ან სამარცხვინოდ არ ითვლებოდა და მომავლის „დაზღვევა“ საკმაოდ გავრცელებული იყო. მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში, საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტის აღდგენა მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში დაიწყო.ინგლისში, XIX საუკუნის ბოლომდე „საერთო სამართლის“ (ცომმონ law) შესაბამისად, მეუღლეთა ქონება ქმრის საკუთრებად ითვლებოდა და ის ქონებაც კი, რომელსაც ცოლი ქორწინებამდე ფლობდა, ქმრის საკუთრებაში გადადიოდა.

1882 წელს ინგლისის პარლამენტმა მიიღო სპეციალური კანონი „გათხოვილი ქალების ქონების შესახებ“. კანონის თანახმად, გათხოვილ ქალებს მიეცათ უფლება გაეფორმებინათ ხელშეკრულებები ქონებაზე, მემკვიდრეობით გადაეცათ იგი და სხვ. ეს იყო პირველი მცდელობა მეუღლე ქალბატონების ქონების კანონის ძალით დაცვისათვის. საგულისხმოა ის გარემოება, რომ როგორც ძველი დროის საქორწინო ხელშეკრულების დიდი უმრავლესობა, ისე დღეისათვის ბევრ ქვეყანაში მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა უშვებს შეთანხმებას როგორც მეუღლეთა ქონებრივ, ისე პირად უფლება-მოვალეობებზე.

1997 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტი, თუმცა იქვე აკრძალა მისი მეშვეობით მეუღლეთა პირადი უფლებების დარეგულირება, რაც სავსებით სწორად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან მხოლოდ სიყვარულზე, ნებაყოფლობითობაზე და ნდობაზე დაფუძნებული ქორწინება შეიძლება იყოს მტკიცე და ხანგრძლივი.საქორწინო ხელშეკრულებით დარეგულირებული ქონებრივი ურთიერთობები ის ზედნაშენია, რომელსაც სიყვარულის ძალა აღუღაბებს და ცხოვრება წარმოშობს. ხელშეკრულების გაფორმებისას მეუღლეებს ეძლევათ შესაძლებლობა შეცვალონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზოგიერთი ნორმა და ქონებრივი უფლება-მოვალეობები გადაწყვიტონ საკუთარი შეხედულებისამებრ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოქმედი კანონის თანახმად საქორწინო ხელშეკრულება ითვალისწინებს მეუღლეთა შორის შეთანხმებას მხოლოდ ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც შეიძლება გავრცელდეს როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას; იგი შესაძლებელია დაიდოს ქორწინების რეგისტრაციამდეც, ხოლო ძალაში მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან შედის.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ხელშეკრულება გარკვეული ვადით ან უვადოდ შეიძლება დაიდოს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს შორისაც ნებისმიერ დროს, დაქორწინების ვადის მიუხედავად, მაგრამ აუცილებლად წერილობითი ფორმით და დადასტურდეს სანოტარო წესით.

ინდივიდუალური საკუთრება არის ქონება (როგორც მოძრავი, ასევე უძრავი), რომელიც მეუღლეს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე, ასევე ქონება, რომელიც მეუღლემ ქორწინების განმავლობაში მიიღო მემკვიდრეობით ან ჩუქებით; ამიტომ თითოეულ მეუღლეს უფლება აქვს მეორე მეუღლისგან დამოუკიდებლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს იმ ქონებას, რომელიც მის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს. ინდივიდუალურ საკუთრებას განეკუთვნება აგრეთვე, ის ნივთები, რომლებიც შეძენილია მეუღლეთა საერთო სახსრებით, მაგრამ განკუთვნილია ერთ-ერთი მათგანის ინდივიდუალური სარგებლობისათვის. ასეთია მაგალითად; ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საყურე, ყელსაბამი, კოსმეტიკური ნივთები და სხვ.

კანონი ინდივიდუალური სარგებლობის ნივთებიდან გამორიცხავს ძვირფასეულობას. ძვირფასეულობას მიეკუთვნება ისეთი ნივთები, რომლებიც არაა აუცილებელი ყოფითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მაგალითად: ძვირფასი ლითონებისა და იშვიათი ქვებისაგან დამზადებული საგნები, ანტიკვარული ნივთები და სხვ. აღნიშნულთან ერთად, კანონი ცალკე გამოყოფს პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთებს, როგორიცაა: მუსიკოსისათვის მუსიკალური ინსტრუმენტები, ექიმისათვის საექიმო კაბინეტის მოწყობილობები, სპორტსმენისათვის სპორტული ინვენტარი და ა. შ. თანასაკუთრების გაყოფისას პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები, თუნდაც ისინი შეძენილი იყოს საერთო სახსრებით, გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ეს ნივთები თავისი საქმიანობისათვის სჭირდება, ხოლო მეორე მეუღლეს მიეცემა მათი საერთო ღირებულების ნახევარი ფულადი ანაზღაურების სახით.

სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმში მოქცეული ქონება, საბანკო ანაბრები, აქციები და სხვა რაიმე ქონებრივი წილი, რომლებიც გახსნილია (შეძენილია) ქორწინების განმავლობაში, ასევე პროცენტები (დივიდენდები) მათზე, წარმოადგენს როგორც ქორწინების პერიოდში, ასევე განქორწინების შემთხვევაშიც იმ მეუღლის საკუთრებას, რომლის სახელზეც არის გახსნილი (გაფორმებული) ეს ქონება. საბანკო პროცენტების და დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით შესაძლებელია მეუღლეთა შორის ცალკე შეთანხმება.

მნიშვნელოვანია, რომ საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს შეუძლიათ შეცვალონ მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის კანონით დადგენილი წესი. მეუღლეებს შეუძლიათ გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, რომელსაც დაემატება ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებაც (საერთო ქონება) ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ თქვან უარი ამგვარ გაერთიანებაზე და დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე. მეუღლეებს უფლება აქვთ საქორწინო ხელშეკრულებით განსაზღვრონ შემოსავლებში მონაწილეობის პირობები, თითოეულის მიერ საოჯახო ხარჯების გაწევის წესი და ქონება, რომელიც გადაეცემა თითოეულ მეუღლეს ქორწინების შეწყვეტისას.

**ხშირად გვეკითხებიან: შეიძლება თუ არა, საქორწინო ხელშეკრულება დაიდოს იმ ქონებაზე, რომელსაც მეუღლეები მომავალში შეიძენენ?**

— საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე.

საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს განსაზღვრული ვადით ან ამა თუ იმ პირობების დადგომით. მეუღლეები უფლებამოსილი არიან თავიანთვის დაადგინონ რეჟიმი, რომელიც მოიცავს ქონების განცალკევების ან მათი ერთიანობის ცალკეულ ნიშნებს. მაგალითად, მიმდინარე შემოსავლები მომავალში იყოს მეუღლეთა საერთო საკუთრება, ხოლო სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება კი — განცალკევებული. ხელშეკრულებაში მეუღლეებმა შეიძლება გაითვალისწინონ წილობრივი ხასიათი ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე, მათ შორის საცხოვრებელ ფართობზე. მაგალითად, ხელშეკრულებაში მიუთითონ, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე ერთი მეუღლის წილი შეადგენს 1/4-ს, ხოლო მეორის — 3/4-ს. ამავე დროს არ არის გამორიცხული, რომ მეუღლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ თითოეული მათგანის მიერ შეძენილი ქონება შეადგენს მის ინდივიდუალურ საკუთრებას. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მსოფლიოში ცნობილი ტენორის ლუჩანო პავაროტის და მისი მეუღლის საქორწინო ხელშეკრულება (მათ ერთად იცხოვრეს 36 წლის მანძილზე), რომლის თანახმადაც თითოეულ მათგანს ინდივიდუალური საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება. მართალია, საქორწინო ხელშეკრულება იძლევა შესაძლებლობას მეუღლეებმა (ან დასაქორწინებელმა პირებმა) თავიანთი შეხედულებით განსაზღვრონ ქონებრივი უფლება-მოვალეობანი, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია საქორწინო ხელშეკრულებით შეიცვალოს პირადი ქონებრივი ერთიანობის ხასიათი, კერძოდ შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობანი და დავის შემთხვევაში სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.

**ჩვენი გაზეთის მკითხველთა ერთ ნაწილს აინტერესებს: რა ვადით შეიძლება დაიდოს საქორწინო ხელშეკრულება და აძლევს თუ არა კანონი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს დადოს ასეთი ხელშეკრულება ქორწინების რეგისტრაციამდე?**

— საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც განუსაზღვრელი, ისე განსაზღვრული ვადით და ზოგჯერ დაუკავშირდეს გარკვეული პირობების არსებობას. მაგალითად, ხელშეკრულებით გაითვალისწინონ, რომ ბავშვის დაბადებამდე მათი ქონება იქნება განცალკავებული, ხოლო დაბადების შემდეგ — საერთო ან პირიქით. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს ქორწინების რეგისტრაციამდე შეუძლია დადოს საქორწინო ხელშეკრულება მხოლოდ კანონიერი წარმომდგენლის თანხმობით.

მოქმედი კანონის თანახმად, საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინებისთანავე. თუმცა, შესაძლებელია იგი შეწყდეს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით, ნებისმიერ დროს.

**ხშირია ასეთი შეკითხვაც: შეიძლება თუ არა საქორწინო ხელშეკრულება შეწყდეს მეუღლეთა ცალმხრივი უარის შემთხვევაში?**

**— არა, კანონი ამის შესაძლებლობას არ უშვებს და თვლის, რომ საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა ამ საფუძვლით დაუშვებელია.**

საქორწინო ხელშეკრულების დადება კანონით სავალდებულო არ არის; შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ (როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს) მან ქართულ სინამდვილეში განსაკუთრებული დაინტერესება დღემდე ვერ ჰპოვა, მაშინ როდესაც განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ერთხმად აღიარებენ, რომ საქორწინო ხელშეკრულება სრულიად საკმარისი და ხელსაყრელი პირობაა მეუღლეთა შორის წარმოშობილი უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად (განსაკუთრებით ქონებრივ და ფინანსურ ნაწილში). იგი ამსუბუქებს მეუღლეთა დამოკიდებულებას განქორწინებასთან დაკავშირებული ხანგრძლივი და მომაბეზრებელი სასამართლო პროცესების მიმართ.

აი, ის ძირითადი საკითხები, რომლებიც მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობასთან არის დაკავშირებული. მკითხველთა ინტერესის გათვალისწინებით, ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში მშობლებისა და შვილების შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და ალიმენტის გადახდისა და გადახდევინების წესზე გესაუბრებით.

◎ პარტიებსა და მოძრაობებში

## ეროვნული ფორუმის მიმართვა ოპოზიციურ პარტიებს

**ქალთა პარტიის თავმჯდომარემ გუგული მაღრაძემ ეროვნული ფორუმის ცენტრალურ ოფისში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. „ეროვნული ფორუმი“ მიმართავს ყველა ოპოზიციურ პარტიას, რომლებიც ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ ისეთ ავტორიტარულ ქვეყანაში, როგორიცაა დღევანდელი საქართველო, ოპოზიციის გამარჯვება ვერ მიიღწევა მისი ძალების ერთიანი მოქმედების გარეშე. ქალთა პარტიის თავმჯდომარეს რამდენიმე შენიშვნაც ჰქონდა ოპოზიციური პარტიებისადმი. ოპოზიციურმა პარტიებმა და პარტიის წევრებმა თავი უნდა შეიკავონ ერთმანეთის ლანძღვაზე, ერთმანეთის პოზიციის დაცინვისა და განქიქებისგან, რადგან ამით არც ერთი მხარე არ დარჩება მოგებული და, რაც მთავარია, ყველაფერი ეს, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების ინტერესებშია და ნებსით თუ უნებლიეთ, ხელისუფლების პოზიციის გამყარებას ემსახურება. დღეს არ არის დრო ვუმტკიცოთ საზოგადოებას, ვინ ვისზე უფრო მაგარია. ჯერ მთავარი ამოცანაა გადასაწყვეტი: ხელისუფლების შეცვლაში წარმატების მიღწევას კი დღევანდელ ეტაპზე არა დაპირისპირება, არამედ ოპოზიციურ ძალებს შორის კოორდინაცია სჭირდება, — აცხადებს ქალთა პარტიის თავმჯდომარე გუგული მაღრაძე.**

ირინა ოზოლაშვილი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისმა ისრაელის ვალი აღიარა, მაგრამ მის მოცულობაზე დავობს

**საქართველოს ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, აღიარა პრობლემის არსებობა ისრაელის კომპანია „ელბიტ სისტემსთან“ დაკავშირებით, რომელიც სასამართლოს მეშვეობით მოითხოვს სამხრეთ ოსეთში ომის წინ თბილისისთვის იარაღის მიწოდებისთვის 100 მილიონი დოლარის გადახდას. თუმცა, საქართველოს დედაქალაქში ამტკიცებენ, რომ სარჩელის თანხა „დაზუსტებას მოითხოვს“**

ისრაელის ერთ-ერთმა დიდმა თავდაცვის სისტემის მწარმოებელმა კომპანიამ „ელბიტ სისტემსმა“ 8 აპრილს განაცხადა, რომ სარჩელით მიმართა დიდი ბრიტანეთის სამართლიანობის უმაღლეს სასამართლოს საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ 100 მილიონი დოლარის გადახდის მოთხოვნით. სარჩელი შეიტანეს თბილისის უარის გამო, გადაიხადოს ვალი იარაღის მიწოდებაზე მთელი რიგი კონტრაქტების შესაბამისად, რომლებსაც ხელი მოეწერა 2007 წელს. მაშინ მხარეებმა გააფორმეს რამდენიმე კონტრაქტი 40 უპილოტო საფრენი აპარატის, აგრეთვე შესაბამისი მოწყობილობის მიწოდებასთან დაკავშირებით. იარაღის მიწოდების განხორციელების შემდეგ ისრაელელებმა ასწავლეს ქართველ სამხედროებს უპილოტო აპარატების ექსპლუატაცია, მაგრამ ფული მიწოდებული პროდუქციის გამო ისრაელის კონცერნს დღემდე არ მიუღია. კომპანიის ყველა მიმართვაზე ოფიციალური თბილისისადმი იქ აცხადებდნენ, რომ არ შეუძლიათ გადაიხადონ კონტრაქტების საფასური სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების უქონლობის გამო.

მიუხედავად ცნობისა სარჩელის შეტანის შესახებ, საქართველოს ხელისუფლება რამდენიმე დღის განმავლობაში სიტუაციის კომენტარებს არ აკეთებდა. მხოლოდ ორშაბათს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ გადაკვრით აღნიშნა, რომ „სარჩელში დასახელებული თანხა დაზუსტებას მოითხოვს“. სამშაბათს საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, რომ დავის თემატიკას ისრაელის ფირმასა და საქართველოს მთავრობას შორის „სწავლობენ შესაბამისი უწყებები“. „სხვა დამატებით დეტალებზე საუბრისგან მე თავს შევიკავებ“, – აღნიშნა მან.



ამავე დროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრიობასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა სალომე მახარაძემ განაცხადა, რომ „თავდაცვის სამინისტროს ისრაელის კომპანიისა, და, საერთოდ, არავისი არანაირი ვალი არ გააჩნია “. „ყველა ვალდებულება ისრაელის კომპანიასთან ხსენებულ კონტრაქტთან დაკავშირებით საქართველოში იარაღის მიწოდების გამო, საქართველოს მხარემ მთლიანად და ამომწურავად შეასრულა“, – განაცხადა ქალბატონმა მახარაძემ.

ამ დროს თბილისში ბევრს მიაჩნია, რომ „ელბიტ სისტემსის“ სარჩელი პირდაპირ უკავშირდება საქართველო-ისრაელის ურთიერთობის მკვეთრ გაუარესებას „ფუკს-ფრენკელის“ საქმის გამო. შეგახსენებთ, რომ ამ ცოტა ხნის წინათ თბილისის საქალაქო სასამართლომ ისრაელის გავლენიან ბიზნესმენებს რონი ფუკსსა და ზეევა ფრენკელს 6 და 7 წლის პატიმრობა მიუსაჯა ფინანსთა მინისტრის მოადგილისთვის ავთანდილ ხარაიძისთვის ქრთამის მიცემის მცდელობის ბრალდებით. გამოძიების ვერსიით, ბატონები ფუკსი და ფრენკელი ცდილობდნენ, „უკუსვლის“ დახმარებით დაეჩქარებინათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ლონდონის არბიტრაჟის გადაწყვეტილების შესრულება მათთვის 98 მილიონი დოლარის გადახდასთან და კონტრაქტის გაუქმების გამო მილსადენების მართვასთან დაკავშირებით. ეს კონტრაქტი გაფორმდა ჯერ კიდევ 1992 წელს.

ისრაელში ბიზნესმენების დაკავება თავდაპირველად აღიქვეს, როგორც პროვოკაცია. ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი პირველად შუამდგომლობდა თავის ქართველ კოლეგა მიხეილ სააკაშვილთან ისრაელელების გათავისუფლების შესახებ, მაგრამ პასუხად ქართველმა ლიდერმა განაცხადა, რომ, კანონის თანახმად, შეუძლია განიხილოს მხოლოდ საკითხი შეწყალების შესახებ, თუ სასჯელმისჯილები ბრალს აღიარებდნენ. მალე ისრაელმა განახორციელა რამდენიმე დიპლომატიური დემარში: გააუქმა პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ვიზები ისრაელში და თბილისში, ფაქტობრივად, დახურა თავისი საელჩო.

„ეჭვს არ იწვევს, რომ„ ელბიტ სისტემსის“ სარჩელი არის ისრაელის შურისძიება ისრაელელი ბიზნესმენების გასამართლების გამო. ამით თელ-ავივი გვაგრძნობინებს, რომ შეეცდება შეუქმნას თბილისს ყოველნაირი პრობლემები საერთაშორისო არენაზე, – განაცხადა დამოუკიდებელმა ექსპერტმა ნიკა იმნაიშვილმა. – საქართველოს ოფიციალურ პირთა განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს მთავრობა მზად არის, გადაიხადოს საფასური უკვე მიწოდებული ტექნიკისთვის, მაგრამ დავობს თანხაზე, რასაც ისრაელის კომპანია მოითხოვს“.

Коммерсант

# ქართული ოპოზიციური ჯგუფები და არაბული არეულობა

**არაბულ სამყაროში მომხდარმა არეულობამ საქართველოს პოლიტიკური ოპოზიციის ორ ნაწილში კონტრასტული რეაქცია გამოიწვია. არასაპარლამენტო რადიკალური ჯგუფები (რომლებიც სხვადასხვა შეფერილობისა არიან), როგორც ჩანს, რეჟიმის შეცვლის კიდევ ერთი კამპანიის დაწყებას აპირებენ**

საპარლამენტო ოპოზიცია, თავის მხრივ, უარს ამბობს რევოლუციური მეთოდების გამოყენებაზე საქართველოში, აქცენტი საარჩევნო პროცესზე გადააქვს და მომავალი წლის არჩევნებისთვის ემზადება.

იმ დროს, როდესაც დასავლეთში არაბულ არეულობას რეალურ დემოკრატიულ ტალღად აღიქვამენ, საქართველოში რეჟიმის ცვლილების სერიული მცდელობის მოყვარულთ უფრო ცინიკური პოზიცია აქვთ. ამ ჯგუფების ლიდერები იმედოვნებენ, რომ უკანონო მოქმედებები მთავრობას ძალის გამოყენებას აიძულებს. მათი გათვლით, მოვლენათა ასეთმა განვითარებამ მთავრობას შინ ლეგიტიმურობა და, რაც მთავარია, დასავლეთის მხარდაჭერა შეიძლება დააკარგვინოს.

ტაქტიკა ქართული შეურიგებელი ოპოზიციური ჯგუფებისთვის ახალი არ არის. ზოგიერთმა ეს უკვე 2007 და 2009 წლებში გამოიყენა. სიახლე ამჯერად არის: სიტყვის „რევოლუცია“ ღიად გამოყენება; უპრეცედენტო და არაორაზროვანი მინიშნება სისხლისღვრაზე და არაბული მოვლენებიდან იმ დასკვნის გამოტანა, რომ დასავლეთი ვერ გაამართლებს პრო-დასავლური მთავრობის მიერ ძალის გამოყენებას.

განსხვავებით 2007 და თუნდაც 2009 წლისგან, საქართველოს არასაპარლამენტო ოპოზიცია საზოგადოებისგან იზოლირებულია. პოლიტიკურ მეინსთრიმში მოკავშირეთა ნაკლებობის გამო, ისინი იმ ოპოზიციურმა პარტიებმა გადაწონა, ვინც ინსტიტუციური სისტემის ფარგლებში ოპერირებს. ეს პარტიები კი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებიან, რომელიც 2012 წელს უნდა გაიმართოს, მაგრამ პარლამენტის მიღმა მყოფი შეურიგებელი ოპოზიცია ვარაუდობს, რომ მოხდება რევოლუცია, რომელიც ძალით შეცვლის მთავრობას და ვადამდელი არჩევნების აუცილებლობას წელსვე შექმნის.

შეურიგებელი ოპოზიცია თავად ძალიან დანაწევრებულია. მასში შედიან: „სახალხო კრება“, რომელიც 8 სხვადასხვა ჯგუფისგან შედგება; „ქართული პარტია“, სახალხო კრების კონკურენტი; ჯგუფი „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოსთვის“„ რომელსაც ცოლ-ქმრის, ბადრი ბიწაძისა და ნინო ბურჯანაძის ტანდემი უდგას სათავეში (სასაზღვრო დაცვის ყოფილი ხელმძღვანელი და პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე) და კიდევ რამდენიმე ჯგუფი და ფრაქცია („24 საათი“, 4-17 მარტი). ბიწაძემ და „ქართული პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ, მიუნხენის აეროპორტში სახალხოდ იჩხუბეს, ერთმანეთს ბრალს სდებდნენ და უარყოფდნენ ღალატს (EurasiaNet, 28 მარტი).

ამ ჯგუფებმა ხელიდან გაუშვეს ეკონომიკურ სიდუხჭირეზე პოლიტიკური კაპიტალის მოპოვების შანსი. საქართველოს ეკონომიკამ კრიზისი გადალახა და გაჯანსაღება დაიწყო, მისი მშპ ამჟამად 6%-ით იზრდება და მოელიან, რომ ზრდის ეს ტემპი, სულ ცოტა, წელს მაინც შენარჩუნდება. ინფლაცია სერიოზულ პრობლემად რჩება. ინფლაციამ შარშანდელთან შედარებით პიკს, 14%-ს თებერვალში მიაღწია, მაგრამ არსებობს პროგნოზი, რომ წლის განმავლობაში ის ერთნიშნა ციფრებამდე დავა (Radio Free Europe, 13 მარტი). მთავრობამ ამ პროცესს გარკვეული სოციალური ჯგუფისთვის საკვების ვაუჩერების დარიგებითა და პენსიების ინდექსაციით უპასუხა. საკვებ და სხვა პროდუქციაზე მსოფლიო ფასების ზრდის გავლენას საქართველოზე ოპონენტები მთავრობას იოლად ვერ გადააბრალებენ.

შეურიგებელი ოპოზიცია „გადამწყვეტი“ გამოსვლებისა და დემონსტრაციების დაწყების დღედ სხვადასხვა თარიღს ასახელებს (9 აპრილს, 24 აპრილს, 2 მაისს). მაგალითად, ბურჯანაძე აპირებს „მთავრობას მშვიდობიანად წასვლა აიძულოს, სისხლისღვრის გარეშე“ და „იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელს აღმართავენ, სასტიკი პასუხით ემუქრება“ (Russia Today, 16 მარტი; „ნეზავისიმაია გაზეტა“, 24 მარტი). იმავე სულისკვეთებით „ქართული პარტიის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარი მოითხოვს „ძალის ჩვენებას, რათა მთავრობა დაფრთხეს“ და „შესაბამის პასუხს“, თუ ხელისუფლება ძალას გამოიყენებს, ანუ ხელკეტი ხელკეტის წინააღმდეგ („რეზონანსი“, 21 მარტი).

შეურიგებელ ჯგუფებს საზოგადოებრივი მხარდაჭერა მასობრივი აქციებისთვის არა აქვთ, მაგრამ, როგორც სჩანს, ისინი აპირებენ ისეთი ინციდენტის მოწყობას, რომელიც პოტენციაში ესკალაციას გამოიწვევს. ზოგიერთი ქართველი შიშობს, რომ რუსეთმა ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ლიბიაში დასავლეთის ინტერვენცია მაგალითად მოიშველიოს და საქართველოში „ხალხის დასაცავად“ შემოიჭრას. „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა გიორგი თარგამაძემ თავისი ეს წუხილი თბილისში ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოხატა („კავკასპრესი“, 24 მარტი).

თარგამაძის „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“ და „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“, რომელსაც სათავეში ირაკლი ალასანია უდგას, ის მთავარი ოპოზიციური პარტიებია, რომლებიც ინსტიტუციური სისტემის შიგნით მუშაობენ. ისინი უარყოფენ „რევოლუციას“ (რაც საქართველოში ძირითადად მთავრობის არაკონსტიტუციურ ცვლილებას ნიშნავს) და კონსტიტუციური ვადების თანახმად, 2012 წელს არჩევნებში მონაწილეობას აპირებენ, რათა გაზარდონ თავისი პოლიტიკური ძალაუფლების წილი. ამჟამად ისინი მმართველ პარტიასთან, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ პარლამენტში საარჩევნო კოდექსის შეცვლისთვის თანამშრომლობენ.

თარგამაძის ჯგუფმა რეჟიმის ცვლილების მომხრეთა ბანაკი 2008 წლის დასაწყისში დატოვა, იმავე წელს პარლამენტში გარკვეულ წარმატებას მიაღწია და დაიკავა თავისი ადგილები, როგორც ოპოზიციურმა პარტიამ (მაშინ, როდესაც შეურიგებლებმა უარი თქვეს იმ რამდენიმე ადგილზე, რომელიც იმავე წელს მოიპოვეს). ალასანიას „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“ მჭიდრო თანამშრომლობდა შეურიგებელ ოპოზიციასთან 2009 წლის ანტისამთავრობო კამპანიის დროს, მაგრამ მომდევნო წელს მათთან ურთიერთობა შეწყვიტა.

ეს ორი პარტია უკვე მოწიფული შეხვდა 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებს, რომლებმაც საქართველოში პარტიული სისტემის შემდგომი განვითარების საფუძვლები შექმნა. ამ არჩევნებმა დაადასტურა, რომ პროსაპრეზიდენტო ნაციონალურ პარტიას მაღალი რეიტინგი აქვს. ამავე დროს გამოჩნდა, რომ ქვეყანაში არსებობს პასუხისმგებლობის მქონე ოპოზიციური პარტიები და საბოლოოდ მოახდინა სერიული რევოლუციების მოყვარე ანაქრონისტული პარტიების მარგინალიზაცია.

The JAMESTOWN FOUNDATION

## დედამიწის ზურგზე



**ბელარუსში დააპატიმრეს მეტროში მომხდარი ტერაქტის ორგანიზებაში ეჭვმიტანილი ორი პიროვნება**

ოთხშაბათს ღამით დააკავეს ორი კაცი, მათ უკვე მისცეს ჩვენება, რომ მონაწილეობდნენ სხვა გახმაურებულ ტერორისტულ აქტში. ორივე დაკავებული ბელარუსის მოქალაქეა, ერთი მათგანი ტერორისტული აქტის შემსრულებელია. სწორედ იგი დააფიქსირა სამეთვალყურეო კამერამ მეტროს სადგურ „ოქტიაბრსკაიაში“ აფეთქების წინ.

* * *

**იაპონიის ცუნამის ახალი ვიდეო: ცუნამი ანადგურებს სოფელს, კვალდაკვალ მისდევს გაქცეულ ხალხს**



11 მარტის სტიქიის დარტყმის შედეგად მიწასთან გასწორდა მიაგის პრეფექტურის მინამისანრიკის დაბა. ის, რაც მისგან დარჩა, ხიროსიმაში ატომური აფეთქების შემდეგ დარჩენილ ნანგრევებს მოგვაგონებს. ოპერატორის თვალწინ სასწაულებრივ ნაკადში იღუპება ხალხი, რომელსაც ვერაფრით ვერ დაეხმარები. გაზეთები ამას „სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის მკაცრ ბრძოლას“ უწოდებენ.

* * *

**კადაფიმ დაასახელა მოლაპარაკების პირობები: გადააყენონ იგი პატივით და ხელისუფლება გადასცენ მის ვაჟიშვილს**



არაბული პრესის მონაცემებით, კადაფი მოითხოვს, გადაყენების შემდეგ მისცენ მას მნიშვნელოვანი სიმბოლური პოსტი. ამას გარდა ჯამახერიის უფროსი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ხელისუფლება გადასცენ მის შვილს საიფ ალ-ისლამს. ოპოზიცია უკვე მზად არის, განიხილოს ეს ვარიანტი, მიაჩნია, რომ მის შვილთან კომპრომისის მიღწევა გაცილებით უფრო იოლი იქნება, ვიდრე მამასთან.

* * *

**ეგვიპტის ექს-პრეზიდენტი თავის ვაჟიშვილებთან ერთად დააპატიმრეს**

ჰოსნი მუბარაქი და მისი ორი ვაჟიშვილი 15 დღე-ღამით დააკავეს კორუფციაში ბრალდებით. ისინი ასევე მიაჩნიათ დამნაშავეებად ანტისამთავრობო დემონსტრაციის სისხლიან ჩახშობაში მიმდინარე წლის დასაწყისში, როდესაც დაიღუპა ასობით ეგვიპტელი. მუბარაქი წინა დღით მოხვდა საავადმყოფოში გულის შეტევის გამო, მისი ვაჟიშვილი კი ცდილობდა თვითმკვლელობას.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მემკვიდრეობა

# ეშმოლის მუზეუმის ახალი შენაძენები

## ადრექრისტიანული სიძველენი რომაული კატაკომბებიდან

**11 აპრილს საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში ინგლისელმა მეცნიერმა, ოქსფორდის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა მაიკლ ვიკერსმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „ებრაული და ადრექრისტიანული სიძველენი რომაული კატაკომბებიდან — ოქსფორდის ეშმოლის მუზეუმის ახალი შენაძენები“.**



მაიკლ ვიკერსი კარგა ხანია მეგობრობს საქართველოსთან. 1994 წლიდან მონაწილეობდა ვანის გათხრებში. 1998 წლიდან ხელმძღვანელობს ერთობლივ ქართულ-ბრიტანულ არქეოლოგიურ სამუშაოებს. ახლა აჭარაში, ქობულეთის ფიჭვნარის ნამოსახლარის გამოკვლევითაა დაკავებული. მან ეროვნულ ბიბლიოთეკას ქართველი არქეოლოგებისთვის საინტერესო 3500 ცალი წიგნი აჩუქა.

პროფესორმა აუდიტორიას გააცნო ფოტომასალა — ებრაული და ადრექრისტიანული სიძველენი — რომაული კატაკომბებიდან, ოქსფორდის ეშმოლან მუზეუმის შენაძენის მიხედვით. წარმოდგენილი იყო ოქროს მინის ფირფიტები — დისკები, რომლებიც თავის დროზე ჩარლზ გელშერმა შეაგროვა, ამიტომ მას კოლექციონერსაც კი ეძახდნენ, მაგრამ ის ისეთ მასალას ყიდულობდა, რომელიც ისტორიული მნიშვნელობისა იყო. ამით მან ისტორიას შემოუნახა გაწმენდილი ეგზემპლარები, ასევე, ებრაულ-ადრექრისტიანული, ანგლო-კათოლიკური ურთიერთობების დამადასტურებელი ნივთები, უნიკალური ფრესკები და წარწერები... ერთ-ერთი მათგანი ასეთი შინაარსისაა: **„მენორა მოწმობს: ალექსანდრე — ძეხვის გამყიდველი ბაზარში... იცხოვრა, კარგი კაცი იყო“.** ზოტიკონის სამარხიდან მოდის დაუსრულებელი წარწერა — **„იძინე სამართლიანთა შორის“...** აქვეა გამოსახული დამატებითი დეტალები: უსახელო ჭურჭელი, შანდალი... საბინას ფრესკიდან შენარჩუნებულია ასოთა ფერი, სადაც გარკვევით ამოიკითხავთ უბრალო, მაგრამ მარადიულ სიტყვებს: **„სიმშვიდეში მოიპოვოს განსასვენებელი“.**

კატაკომბებს პირველად სამარხად იყენებდნენ. შემდგომ იგი დევნილი ქრისტიანების თავშესაფრად იქცა. ამით 200 წელზე მეტ ხანს სარგებლობდნენ პროფესიონალების მიერ 60-90 მეტრზე გათხრილ გალერეებში, გიდებად უდგებოდნენ ჭირისუფალთ და მნახველებს. სხვადასხვა სირთულისა და დეკორატიულად განსხვავებული კატაკომბები ერთ სიგრძეზეა განლაგებული.

ფრესკებზე ასახულია, ძველი აღთქმის სცენები: ადამი და ევას გამოსახულება გველთან ერთად, იონა და ვეშაპი, სამეული, რომელმაც უარი უთხრეს ნაბუქოდონოსორს კერპების თაყვანისცემაზე. ლაზარეს აღდგინება და კეთილი მწყემსი ფარაში. ასევე საინტერესოა, ჰერკულესის კატაკომბი. როგორც ჩანს, ქრისტიანები მაღალზნეობრივ მორალს წარმართებში აფასებდნენ. ეს არის ხალხური ხელოვნების ნიმუშები. ბუნებრივი უბრალოება და სიმარტივე კი მათ მეტ მომხიბვლელობას მატებს.

რომაული მინის რამდენიმე ფრაგმენტი, მართლაც, უნიკალურია. ცენტრში გამოსახულ პეტრესა და პავლეს ფირფიტას, შემდეგი სიტყვები ამშვენებს: „მეგობრობა ფასობს“. ებრაული კოლექციიდან აღსანიშნავია ოქროს მინის ტექნიკით შესრულებული წარწერა ვენორას გამოსახულებაზე...

კოლექციაში ძირითადად საყოფაცხოვრებო ნივთებია წარმოჩენილი. ერთ-ერთ ბერძნულ სამოსზე გვხვდება წარწერა: „დალიე და იდღეგრძელე“.

საოცარი, მაგრამ ორი განსხვავებული მრწამსის — წარმართული და ქრისტიანული რელიგიური სცენები ერთ სახელოსნოში, რომში მზადდებოდა.

მეტად საინტერესოა, მინის ფირფიტები, როგორც შესრულების ტექნიკით, ასევე გამომსახველობით. ფირფიტის შუა ნაწილში ცოლ-ქმარია გამოსახული შესაბამისი ვარცხნილობით, სამოსით, თან ეტრატით ხელში. გარე ჩარჩოში სცენებია ძველი აღთქმიდან: ადამსა და ევაზე განრისხებული ღმერთი, აბრაამის მიერ ისაკის მსხვერპლშეწირვა, კრავი, მოსე, რომელიც აპობს კედლებს, საიდანაც წყალი იღვრება, ქრისტეს მიერ დავრდომილის აღდგინება...

დისკებს შორის აღსანიშნავია წითელი ფერის პიგმენტი მინებშუა და ასევე, ქალისა და კაცის გამოსახულება. საყურადღებოა, მამაკაცის სამოსი — რომელიც რელიგიური კონსერვატიზმის ნიშანია. ამ თვალსაზრისით,ძალიან მდიდარი შენაძენი 2008 წელს გააკეთა ეშმოლის მუზეუმმა, რადგანაც მინის კორდის უნივერსიტეტსაც კი არ აქვს ერთ ნიმუშზე მეტი.

მუზეუმი ასევე ფლობს იშვიათად ხელმისაწვდომ, ადრექრისტიანული რელიეფის მასალას, რომელიც შესწავლის მოლოდინშია.

დაინტერესებულ პირებს ექსპონატების ნახვა ოქსფორდში, ეშმოლის მუზეუმში შეუძლიათ...

**გულნაზი გახარია**

მითი თუ რეალობა?

# მართლა „მიუქსიეს“ ქარიშხალი „კატრინა“ ამერიკელებს?!

**სწავლული რადიოფიზიკოსის ნიკოლაი ლევაშოვის აზრით, „ატმოსფეროს გლობალური დათბობა მითია, ამინდის ყველა ანომალია კი კლიმატური იარაღის გამოყენების შედეგია“!**

— კლიმატური იარაღი დიდი ხანია არსებობს და აქტიურადაც გამოიყენება. მაგალითად, 2003 წელს საფრანგეთისა და ესპანეთის ცალკეულ რაიონებში ჰაერის ტემპერატურა ცელსიუსის 50 გრადუსს აღწევდა. მაშინ კლიმატური იარაღის გამოყენების მიზეზი ბოიკოტი გახდა, რომელიც ევროპამ ამერიკულ გენურ-მოდიფიცირებულ პროდუქტებს გამოუცხადა, — ამბობს ნიკოლაი ლევაშოვი. — ამერიკას დიდი ხანია უნდა, რომ მთელმა მსოფლიომ მისგან გენურად მოდიფიცირებული მარცვლეული შეიძინოს: ნებაყოფლობით არ გინდათ? მაშინ ჩვენ „მოგეხმარებით“ — ვისაც სიცხემ მოსავალი გაუნადგურა, იძულებული იქნება მარცვლეული ამერიკისგან იყიდოს...



ამბობენ, რომ კლიმატური იარაღის ცენტრია ალასკაზე ამერიკის სადგური HAARP-ი. მიაჩნიათ, რომ ეს სადგური სამოქალაქო სამეცნიერო-კვლევითი ობიექტია. მაგრამ ამ „სამოქალაქო“ ობიექტს პენტაგონზე უფრო მაგრად იცავენ, თანაც უსიერ ტაიგაშია განთავსებული. ჩრდილოეთის ნათება, რომელსაც თითქოსდა იქ შეისწავლიან, სხვა არაფერია, თუ არა კამუფლაჟი. ეს სადგური აშკარად სამხედრო ობიექტია.

მაგრამ კლიმატური იარაღის გამოყენების მსურველ სახელმწიფოს სადგურის გარდა მთელი დედამიწის დამფარავი ხელოვნური თანამგზავრების ძალეც უნდა ჰქონდეს. მსოფლიოში სულ რამდენიმე სახელმწიფოა ისეთი, რომელთაც სათანადო ტექნოლოგიები აქვთ. ამერიკას მსოფლიოში ყველაზე მეტი თანამგზავრი ჰყავს გაშვებული და ისინი დედამიწის ირგვლივ რაღაც ობობას ქსელის მსგავსს ჰქმნიან. **HAARP-ის ტიპის სადგურები მძლავრ გამოსხივებას ქმნიან, რომელიც თანამგზავრებზე იგზავნება და მერე მთელ დედამიწაზე ნაწილდება. შემდეგ წინასწარ დათქმულ წერტილში დახურულ ზონას ქმნიან, რომელშიც გამოსხივებას უშვებენ. ოზონის შრის იონიზაცია ხდება, მისი მოლეკულები იშლება. სწორედ ამ გზით ამცირებენ ამა თუ იმ ადგილას ოზონის ფენას.**

2003 წელს საფრანგეთში სწორედ ასეთი ვითარება შეიქმნა. ქვეყნის თავზე ოზონის ხვრელი იყო, შემდეგ ის გაქრა. **იმ ზაფხულს ორი ტიპის იარაღს იყენებდნენ — გეოფიზიკურსა და კლიმატურს.** თავდაპირველად შექმნეს უზარმაზარი ოზონის ლინზა, რომლის მეშვეობით დედამიწაზე მძლავრი ულტრაიისფერი და ხისტი კოსმოსური გამოსხივება აღწევდა. **გეოფიზიკური იარაღის მოქმედების პრინციპი იმას ეფუძნება, რომ გახურება ზემოდან კი არა, ქვევიდან მოდის: როგორც ცნობილია, მიწის ქერქის ქვეშ გავარვარებული მაგმაა, ქერქის ზედა ფენები მაგმასთან კონტაქტში არიან და სითბოს დაბალი გამტარიანობით ხასიათდებიან. თუ სითბოს გამტარიანობას გავზრდით, მაგმა გავარვარებული ტაფასავით მოიქცევა, ზაფხულში ქერქის იმ შრეების ტემპერატურა აიწევს, რომლებიც დედამიწის ზედაპირთან უფრო ახლოს არიან და ორმაგი გახურების ეფექტი შეიქმნება. ტემპერატურული ბალანსი ძალიან სწრაფად აღდგება, გავარვარებული ტაფა კი — გახურებული დედამიწის ქერქი — ასე მალე ვერ გაცივდება. იმიტომ მოცემულ ადგილზე თავისუფლად შეიძლება უძრავი ანტიციკლონის შექმნა და, შესაბამისად, დიდი ხნით პაპანაქება სიცხის მოწყობა.**

საგულისხმოა, რომ რამდენიმე წლის წინათ ამერიკელებმა რუსეთს ბრალი დასდეს იმაში, რომ... ქარიშხალი „კატრინა“ „მიუქსიეს“. უნდა ითქვას, რომ **ქარიშხლების „შექმნა“ — ესეც კლიმატური იარაღია.** უბრალოდ, ამ დროს ოდნავ სხვა სქემას იყენებენ: **პატარა მოცულობაში წნევის მკვეთრ სხვაობას ქმნიან: რაც უფრო დიდია სხვაობა, მით უფრო ძლიერია ქარიშხალი.** რაც შეეხება „კატრინას“, ამერიკელებმა ის თავად „დათესეს“, რადგან იმის გამოცდა უნდოდათ, შეიძლებოდა თუ არა კლიმატური იარაღის გამოყენებით ქარიშხლების შექმნა. უნდა ითქვას, რომ 1975 წლამდე კლიმატური იარაღის შექმნაზე რუსებიც აქტიურად მუშაობდნენ, მაგრამ მერე მეცნიერები... ამერიკაში გადაბარგდნენ და საქმეც გაჩერდა.

კლიმატური იარაღის გამოყენებას შესაძლოა გლობალური კატასტროფა მოყვეს. ყველაზე მცირე უბედურება, რაც შეიძლება მოხდეს ისაა, რომ მთელ მსოფლიოში კლიმატის ბალანსის რღვევა დაიწყება. ბუნებაში ხომ ყველაფერი გაწონასწორებულია, **მეცნიერები კი იმის შექმნას ცდილობენ, რის ხეირიანად მართვა არც კი შეუძლიათ...** ამის შედეგი, შესაძლოა კატასტროფული გახდეს!

თუმცა, არსებობს სხვა აზრიც. მაგალითად, პროფესიონალი სამხედრო, 1-ლი რანგის თადარიგის კაპიტანი ანდრეი შალიგინი მიიჩნევს, რომ **მსგავსი სიმძლავრის იარაღს კაცობრიობა ჯერჯერობით არ ფლობს.**

— ჩვენი უნიჭო მრეწველობით და მოუხერხებელი მიწათმოქმედებით ჩვენ თავადვე ვართ კლიმატური იარაღი, — აცხადებს იგი.

**ირმა ირემაშვილი**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

# ყველგან და ყველასთან სიკეთის მთესველი

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, ქვეყნის ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციასა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად აღნიშნა თავისი კიდევ ერთი ცხოვრებიდან წასული სახელოვანი წევრის საიუბილეო თარიღი: 23 მარტს 80 წელი შეუსრულდებოდა აკადემიკოს ვლადიმერ ბახუტაშვილს (1931-2007) — გამოჩენილ სწავლულსა და პედაგოგს, სამამულო სამედიცინო მეცნიერების ერთ-ერთ კორიფეს, კეთილშობილ, მამაც და თავმდაბალ კაცს, მთელი ცხოვრება რომ მეცნიერების სამსახურსა და ადამიანთა ჯანმრთელობისთვის ზრუნვას მიუძღვნა.**



დიახ, ასეთ და კიდევ სხვა მრავალმხრივ პატივსაგებ პიროვნებად წარმოუდგა ბატონი ვლადიმერი აკადემიის სხდომათა დარბაზში შეკრებილთ — მრავალრიცხოვან მახლობელს, ნათესავს, მეცნიერ-მედიკოსს, პრაქტიკოს-მედიკოსს, მოწაფესა თუ თანამშრომელს. უბრალოდ, მისი მაღალი სახელის პატივისმცემელს; წარმოუდგა გამოსვლებში, მოგონებებში, დოკუმენტურ ფილმებში „ვლადიმერ ბახუტაშვილი — სასიქადულო მამულიშვილი, წარმატებული მეცნიერი და პიროვნება“ (ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასახვით).

კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინა, პირველ რიგში ინფექტოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია და იუნორეაბილიტოლოგია, სამედიცინო ბიოტექნოლოგია — ეს არასრული ჩამონათვალია იმ მეცნიერულ მიმართულებათა, რომლებშიც ვლადიმერ ბახუტაშვილი ეწეოდა კვლევას კოლეგებსა და მოწაფეებთან ერთად. ამ კვლევის შედეგები ასახულია 300-ზე მეტ პუბლიკაციაში, იმათ რიცხვშია 5 მონოგრაფია. ეს მან შექმნა თანამშრომლებთან ერთად ბიოტექნოლოგიაში 4 პრეპარატი, კერძოდ, სახელგანთქმული პლაფერონი, რითაც, არსებითად, საქართველოში სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ფუძემდებელი გახდა. მიღებული პრეპარატების მაღალი ეფექტიანობა დემონსტრირებული იყო ვირუსული ბუნების დაავადებათა მკურნალობისას, თანაც მარტო საქართველოში კი არა — რუსეთში, აშშ-ში, ისრაელში, იტალიაში, სინგაპურში კოლეგებთან თანამშრომლობითაც. ეს მან დააარსა ჯერ კიდევ 1991 წელს სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი და იყო კიდევაც ამ გამორჩეული კვლევითი დაწესებულების დირექტორი.

ბატონ ვლადიმერს ჰყავდა დიდებული მეუღლე, რომელთან ერთად ორი შესანიშნავი ვაჟიშვილი აღზარდა, ისინი პროფესორი მედიკოსების რანგში უცხოეთში ღირსეულად განაგრძობენ მამის პროფესიულ გზას.

...აუგი რომ არასოდეს არავისზე არ წამოსცდენია, ყველგან და ყველასთან რომ სიკეთე მიჰქონდა და თესავდა — ესეც ნათელი შტრიხებია აკადემიკოს ვლადიმერ ბახუტაშვილის დაუვიწყარი პორტრეტისა...

**თამაზ ებანოიძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ როგორ ვმეტყველებთ

# ეს რა უბედურებაა?!

დღეს ქართული ენის დღეა და, წესით და რიგით, მოსალოცად უნდა გქონდეთ საქმე, მაგრამ...

რა გვეზეიმება, როცა საინფორმაციო სივრცე ახალმა ჭირმა წალეკა. დიახ, ინგლისურის დამახინჯებულ კალკებზე მოგახსენებთ, რომელმაც წარმატებით გადაიბარა ესტაფეტა რუსულისგან.

საუბარი ზოგადი რომ არ გამოგვივიდეს, ახალი სპორტული არხის — „ჯორჯიან მედია გრუფის“ (ჯემჯ) ეთერით გადმოცემული კონკრეტული ფაქტ-მარგალიტებით შევკმაზავთ, კერძოდ, მისი საკალათბურთო რეპორტაჟებიდან ამოკრეფილი მაგალითებით. კერძოდ, დებიუტანტი კომენტატორები, რომელთაც არანაირი პროფესიული განათლება არ გააჩნიათ, ჯიუტად ცდილობენ, დაამკვიდრონ პრაქტიკაში სლემ დანკი (ბურთის კალათში ჩატენვა), თერნოვერი (ბურთის დაკარგვა) და ენდუანი (როცა ზუსტი ტყორცნის შემდეგ საჯარიმოც უნდა შესრულდეს).

ვითომ წვრილმანია? რა თქმა უნდა, არა. ჰოდა, ჩვენ მომავალშიც პირუთვნელად ვამხელთ დედაენის წამბილწველებს.

**გია პლატონიშვილი**

◉ ფეხბურთი



# მადლობა ინგლისს

**მოგეხსენებათ, არის სიტუაციები, როცა გუნდები პრაგმატული მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ და არად დაგიდევენ გულშემატკივრის ფაქტორს, რომელიც სტადიონზე თვალსასეირო სანახაობის მოლოდინით მიდის. საბედნიეროდ, ყოველთვის ასე არ ვითარდება მოვლენები.**

ასეთი შესავალი ჩემპიონთა ლიგის ინგლისური მეოთხედფინალის საპასუხო რაუნდმა გვიკარნახა, სადაც არ გამართლდა ვარაუდი, სერ ალექს ფერგიუსონი „მანჩესტერს“ ერთი კვირის წინათ ლონდონის „სტემფორდ ბრიჯზე“ მოპოვებული მინიმალური უპირატესობის შესანარჩუნებლად დაქოქავს და „ჩელსის“ შეგნებულად დაუთმობს ბრძოლის სადავეებს.

არავითარი მსგავსი „ოლდ ტრაფორდზე“ არ მომხდარა — მეტოქეებმა თავიდანვე შემტევი ტაქტიკა აირჩიეს და საფინალო სასტვენამდე არ შეუნელებიათ ტემპი, მატჩის ბედი მასპინძელთა სასარგებლოდ კი მათი სოლისტების უფრო მაღალმა ინდივიდუალურმა ოსტატობამ გადაწყვიტა — 2:1 (**ერნანდესი, პაკ ჯი სუნი; დროგბა**).



ისიც სათქმელია, რომ კარლო ანჩელოტი უკვე მერამდენედ დაალალატა ძირითად შემადგენლობაში გამწესებულმა მოიერიშეთა დუეტმა ტორესი-ანელკა, ხოლო მათი შემცვლელების — დროგბასა და კალუს სარბიელზე გამოჩენა დაგვიანებული აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ „არისტოკრატები“ შეხვედრას რიცხობრივ უმცირესობაში ამთავრებდნენ, თუმცა არც რამირესის წითელი ბარათის შემდეგ დაშრეტიათ ენერგია და ღირსეულად გამოეთიშნენ ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ევროტურნირს.

დავძენთ, რომ 2004 წლიდან მოყოლებული ეს პირველი სეზონია, რომელსაც რომან აბრამოვიჩის ნაამაგარი პირმშო უტიტულოდ დაასრულებს.

**„შახტარი“ — „ბარსელონა“ 0:1 (1:5).**

გოლი: **მესი.**

**გიორგი შოთაძე**

◉ ტყვიის სროლა

# ბრინჯაოს მედალია



**ქართველმა ტყვიის მსროლელმა ნინო სალუქვაძემ სამხრეთ კორეის ქალაქ ჩანჯოუში მიმდინარე მსოფლიოს თასზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ამჯერად პნევმატური პისტოლეტით სროლაში ავიდა კვარცხლბეკზე. სპორტული პისტოლეტით კი მერვე ადგილს დასჯერდა.**

საკვალიფიკაციო ეტაპი სალუქვაძემ 385 ქულით ჩაამთავრა, ხოლო ფინალში 486,7 ქულა დააგროვა და მხოლოდ ჩინელ სუნ ცის (489,9) და უკრაინელ ელენა კოსტევიჩს (489,8) ჩამორჩა.

შეგახსენებთ, რომ სამი კვირის წინათ ნინო სალუქვაძე სიდნეის მსოფლიოს თასზე გაჩემპიონდა და ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია ქართველ სპორტსმენთაგან პირველმა მოიპოვა.

◉ აფროსნობა

# ქართველები ბრუნდებიან

**საქართველოს აფროსანთა ნაკრები პირველი საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადება. ჩვენი აფროსნები ერთი თვის განმავლობაში მოსამზადებელ შეკრებას ფოთში გადიოდნენ.**



**ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ფოთის პორტის დახმარებით, გუნდი 22-29 აპრილს ქალაქ ჰეინისში მოსინჯავს ძალებს. საფრანგეთში გასამართი საერთაშორისო ტურნირი, სადაც 60-მდე ქვეყნის აფროსნები გამოვლენ, ამავდროულად ლონდონის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ეტაპის ერთ-ერთი შეჯიბრებაა.**

საქართველოს ნაკრების ღირსებას გოგა გოჩალეიშვილი (ფოთი), ლევან სისაური (ფოთი), დავით გიორგაძე (ფოთი), კახა გრიგოლია (თბილისი) და ტატო გრიგოლია (თბილისი) დაიცავენ. მწვრთნელი მიხეილ კილასონია მოსამზადებელი ეტაპით კმაყოფილია და მოახლოებულ ასპარეზობასაც ოპტიმისტურად უყურებს.

წინ კიდევ 5-6 ანალოგიური გამოცდაა.

ოლიმპიადის საგზურს სალიცენზიო ტურნირებზე ნაჩვენები შედეგების გათვალისწინებით 20 საუკეთესო ქვეყანა მოიპოვებს.

ჩვენი ნაკრები საერთაშორისო ტურნირზე, დიდი ხანია, არ გამოსულა და ამ მხრივ ბიჭებს გამოცდილება აკლიათ, თუმცა მაინც იმედიანად არიან განწყობილნი და იმედი აქვთ, რომ საფრანგეთში თავს არ შეირცხვენენ.

◉ ინტერნეტიდან

## კარიდან — კარში



**პარაგვაელმა მეკარემ უილსონ კინიონესმა, ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე დივიზიონის კლუბში „სპორტ კოლომბიაში“ რომ თამაშობს, „სერო დე ფრანკოსთან“ მატჩში გოლი თითქმის კარიდან დარტყმის შემდეგ მეტოქის კარში გაიტანა. ეს მოხდა 9 აპრილს ქალაქ ფერნანდო-დე-ლა-მორაში, სტადიონზე „სპორტ კოლომბია“.**

როგორც გაზეთები იტყობინებიან, მეკარემ, საჯარიმო დარტყმა რომ შეასრულა, ბურთი გაიტანა 83 მეტრიდან. ასეთ სასწაულებრივ გოლს რომ ზეიმობდა, მეკარემ მაისური გაიძრო, რისთვისაც მსაჯმა მას ყვითელი ბარათი უჩვენა.

მატჩი ფრედ — 1:1 დამთავრდა.

## მესის საბომბარდირო რეკორდი

**ვინც გუშინწინ ღამით თვალს ადევნებდა ჩემპიონთა ლიგაზე მეოთხედფინალში დონეცკის „შახტარისა“ და კატალონიის „ბარსელონას“ განმეორებით მატჩს, ალბათ იხილა კიდეც „ბარსელონას“ თავდამსხმელის ლიონელ მესის გოლი, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა მისი გუნდის გასვლა ამ პოპულარული გათამაშების ნახევარფინალში. თუ პირველი მატჩი ესპანური ფეხბურთის ლიდერმა შინ 5:1 მოიგო, სტუმრადაც გაიმარჯვა 1:0.**

12 აპრილს ეს გოლი მესისთვის იყო 48-ე „ბარსელონაში“. ამით არგენტინელმა თავდამსხმელმა გაიმეორა ესპანელი ტელმო სარას რეკორდი — მან ხომ 1950-51 წლის სეზონში ბილბაოს „ატლეტიკოს“ შემადგენლობაში სწორედ 48 გოლი გაიტანა.



მესის სრული შესაძლებლობა აქვს, დაამხოს სარას რეკორდი — წინ ხომ ესპანეთის ჩემპიონატის კიდევ 7 მატჩია, აგრეთვე ქვეყნის თასის ფინალი მადრიდის „რეალთან“, ორი ნახევარფინალური მატჩი ჩემპიონთა ლიგაზე და, შესაძლოა, ამ ტურნირის ფინალიც.

შარშან მესიმ „ბარსას“ შემადგენლობაში ყველა ტურნირზე გაიტანა 47 ბურთი. მაშინ მან გაიმეორა ფერენც პუშკაშის წარმატება 1959-60 წლების სეზონში „რეალის“ შემადგენლობაში და რონალდოს მიღწევა 1996-97 წლების სეზონში „ბარსელონას“ შემადგენლობაში.

## ნუთუ ვნება გაქრა?

**თავის ლამაზმან გულის ვარდს მელისა სატას განშორდა იტალიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი კრისტიან ვიერი. თითქოს ამის მიზეზი იყო შეყვარებულთა ხანგრძლივი განშორება. ფეხბურთელი, ადრე „იუვენტუსის“, „ლაციოს“, „ინტერისა“ და „მილანის“ შემადგენლობაში რომ თამაშობდა, სულ მოგზაურობაში იყო, სატა კი ამერიკასა და იტალიაში ცხოვრობს, როგორც თავად ამბობს, ეს მისთვის პრობლემა არ არის და ის ისევ დარჩება ვიერის ერთგული.**



იტალიური მასმედია მათი გაყრის სხვა ვერსიასაც ასახელებს — ჟურნალისტთა ინფორმაციით, ვიერი სატას ღალატობდა მოცეკვავე სარა ტომაზისთან, რომელსაც ახლაც ხვდება.

მათი ურთიერთობა 2006 წელს დაიწყო, როდესაც ვიერი „მონაკოში“ გამოდიოდა. ტრავმის გამო მან ვერ შეძლო მსოფლიო ჩემპიონატზე წასვლა გერმანიაში, ამიტომ სამკურნალოდ იტალიას მიაშურა. ბობის ამ მძიმე დღეებში სულ გვერდით ედგა მელისა. მაგრამ, როგორც ჩანს, მათ შორის ვნება ჩაქრა.

ახლა ფეხბურთელს სხვა რამ იტაცებს — მას პაოლო მალდინისთან საერთო ბიზნესი აქვს — ტანსაცმლის ბრენდი Sweet years. ვიერი ამავე დროს რესტორნისა და ბარის პატრონიცაა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

SIC!

# ნგრევა შენების სახელით



ტურიზმის პრიმატით სვანეთის „აღორძინება“ დამღუპველია!

**ძვირფასო რედაქცია, დღეს ბევრს ლაპარაკობენ სვანეთის აღორძინებაზე, ათობით ახალი (როგორც პრეზიდენტმა „გაგვახარა“) სასტუმროს და ტურისტული ბაზის მშენებლობაზე...**

ჩვენს ხელისუფლებას, ქართველ საზოგადოებას, ჩვენს კოლეგა არქიტექტორებს, ურბანისტებს გულწრფელად მინდა ვუთხრა, რომ, ერთობ მაშინებს სვანეთის „ეკონომიკური აღორძინების“ აჩქარებული ტემპი. სვანეთისადმი ეკონომიკის, ტურიზმის პრიმატით მიდგომა შესაძლოა სავალალო შედეგით დამთავრდეს. სვანეთი ის ადგილია, სადაც აუცილებელია ასჯერ გაზომვა და ერთხელ გაჭრა. ხაიშიდან ჰადიშამდე მთელი სვანეთი ერთი უნიკალური ურბანული ძეგლია, რომლის მსგავსი მსოფლიოში თითქმის არ არსებობს. ამას ურაპატრიოტიზმი არ მალაპარაკებს. ჩვენ გვაქვს დიდებული საკულტო და თავდაცვითი არქიტექტურა, მაგრამ **სვანეთი სრულიად დამოუკიდებელი ფენომენია, თავისებური გამოვლინებაა ჩვენი ხალხის გენიისა...**

1986 წელს მცირე ტირაჟით გამოვიდა მარიამ ჯანდიერისა და გიორგი ლეჟავას ორმოცწლიანი კვლევის შედეგი – წიგნი მსოფლიოს კოშკურა არქიტექტურაზე. ამ სისტემაში სვანეთს ხომ განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, გამორჩეული ადგილი უჭირავს. გასაგებია მისწრაფება სვანეთის აღორძინებისა, მაგრამ აქ მცირედ უზუსტობას, თუნდაც ერთ არამასშტაბურ, არაკონტექსტურ ნაგებობას შეუძლია, მთელი ეს უნიკალური ძეგლი არარაობად აქციოს. ამის ნათელი დადასტურებაა ამ 40-იოდე წლის წინათ სოფელ იფარში ჩადგმული ორსართულიანი სკოლის შენობა, ასევე, აივნიანი, ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლები მესტიაში და სხვა სოფლებში.

როგორი უნდა იყოს სვანეთის განვითარების სტრატეგია? – ის უნდა იყოს სამთო-სათხილამურო ტურიზმზე ორიენტირებული თუ ისტორიულ-ეთნოგრაფიულზე, ტრადიციებისა და ყოფის თავისებურებათა „ექსპოზიციაზე“, მაჩუბების სასტუმროდ გადაკეთებაზე?

გაკვირვებას იწვევს ეთნოგრაფების, ისტორიკოსების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სხვადასხვა უწყებების მომლოდინე, მაცქერალი პოზიცია.

ვერ ვასახელებ არქიტექტურულ უწყებას, რადგანაც ასეთი უწყება, სამწუხაროდ, კარგა ხანია არ არსებობს და მთელ არქიტექტურულ-სამშენებლო პროცესს ადგილობრივი თვითმმართველობები წარმართავენ. XX საუკუნის დასაწყისში სვანეთში 400-მდე კოშკი იყო მაჩუბებით და სამეურნეო ნაგებობებით, რომლებიც უნიკალურ მთლიანობას, დიდ არქიტექტურულ სპექტაკლს ქმნიდნენ. იქნებ, ამ სპექტაკლის აღდგენა-განახლება-რეტროსპექტივა არის ერთადერთი სწორი გზა, რომელიც სამყაროს დაანახვებს და შეუნახავს კიდეც ამ განსაცვიფრებელ მატერიალურ კულტურას, უნიკალურ ძეგლს. ამასთანავე, ის გახდება ამ ულამაზესი კუთხის ეკონომიკის აღორძინების პირობა.

ცნობისთვის: XX საუკუნის 30-იან წლებში მთელ სვანეთში თუ 400-მდე კოშკი იყო, შემდგომი 30 წლის განმავლობაში, როდესაც კოშკებმა უმთავრესი ფუნქცია – თავდაცვის ფუნქცია დაკარგეს, ასევე სვანთა ყოფის შეცვლამ, გამოიწვია ახალი საცხოვრებლის ტიპის სახლების მასობრივი მშენებლობები, რომლებიც ბარის ოდასახლების ადგილობრივი ინტერპრეტაცია იყო. სწორედ კოშკები მიანგრ-მოანგრიეს და გამოიყენეს ახალი სახლების მშენებლობის მასალად. ეს სტიქიური, უმართავი პროცესი იყო, რის შედეგადაც უკვე 1958 წელს, ანუ სულ რაღაც 30 წელიწადში კოშკების რაოდენობა 180-200-მდე შემცირდა. ეს იყო სვანეთის უნიკალურ არქიტექტურაზე პირველი იერიშის სავალალო შედეგი.

**არ მინდა დავიჯერო, რომ სვანეთის ახლანდელი ეკონომიკური „აღორძინება“ საბოლოოდ მოსპობს დიდ ქართულ (სვანურ) ეროვნულ საგანძურს და ეს იქნება ნგრევა შენების სახელით.**

**ვახტანგ დავითაია,**
**არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.**

გამოცა

# ახალი წიგნი რეფორმაციაზე

**სულ ცოტა ხნის წინათ ქართულმა საზოგადოებამ მიიღო პროფესორ გურამ კუტალიას ახალი წიგნი „ბერი, რომელიც აუჯანყდა რომს“. ქართველი მკითხველი განებივრებული არაა მშობლიურ ენაზე დასავლეთ ევროპის ისტორიის საკვანძო პრობლემებისადმი მიძღვნილი ლიტერატურით. ეს წიგნი ამ ხარვეზების შევსების ერთ-ერთი მორიგი მცდელობაა.**

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში თავმოყრილია უხვი მეცნიერული ინფორმაცია, რომელიც უმთავრესად ემყარება ამ თემისადმი მიძღვნილ წყაროებისა და საკვლევი ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას. ეს წიგნის მთავარი პლუსია.

წიგნს აქვს პრაქტიკული დატვირთვა, რაც ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ ძალიან დაეხმარება ქართულ საზოგადოებას და პირველ რიგში კი მოსწავლე ახალგაზრდობას, სტუდენტებს, კარგად გაერკვნენ რეფორმაციის ისტორიის რთულ პერიპეტიებში, შეიმეცნონ მისი ისტორიული მნიშვნელობა. ეს გააფართოებს მათ ცოდნას მსოფლიო ისტორიაში. წიგნის შემეცნებითი მნიშვნელობა სწორედ ამაში მდგომარეობს, წიგნს დამხმარე სახელმძღვანელოს ფუნქციას სძენს.

პროფესორი გურამ კუტალია დიდი ხნის განმავლობაში გულმოდგინედ, რუდუნებით სწავლობდა რეფორმაციის ისტორიას გერმანიაში და დასავლეთ ევროპაში და უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით მან საკმაოდ ნაყოფიერად ილვაწა. გამოაქვეყნა არაერთი წიგნი და რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომი. წინამდებარე წიგნი ამ ხანგრძლივი და დაუღალავი შრომის ლოგიკური შედეგია.

წიგნში განხილულია შემდგომი მნიშვნელოვანი საკითხები: რეფორმაციის ეკონომიკური სოციალურ-პოლიტიკური და რელიგიური წანამძღვრები, რეფორმაციის იდეური მიზეზები. ვრცლად ჩერდება ერაზმ როტერდამელის, როიხლინის, ჰუტენის შეხედულებებზე.

წიგნში, ცხადია, დიდი ყურადღება ეთმობა და დაწვრილებითაა განხილული მარტინ ლუთერის მოღვაწეობა. ყველაფერი ეს მის მიერ ჩატარებული ხანგრძლივი კვლევის თავისებურ რეზიუმედ შეიძლება მივიჩნიოთ. მოგვითხრობს მარტინ ლუთერის სიყმაწვილეზე, მისი შეხედულებების ჩამოყალიბებაზე, ფორმირებაზე. ვრცლად შეეხება მის პოლიტიკურ, პედაგოგიურ შეხედულებებს. აქ ის არსებითად კიდევ უფრო აზუსტებს, ალრმავებს, ჩატარებული კვლევის შედეგებს. ცხადია, წიგნში განხილულია სხვა საინტერესო საკითხები, რომელსაც თავისი შემეცნებითი დატვირთვა აქვს. მაგრამ ყველა მათგანზე აქ ვერ ვისაუბრებთ. უნდა ითქვას, რომ ლუთერის შეხედულებებს მთელ რიგ საკითხებში თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს და თავის ღირებულებას ინარჩუნებს. ასეთია სამართლიანობის და სამართლის ლუთერისეული ინტერპრეტაცია, ლუთერი ომის და მშვიდობის შესახებ, სასწავლო დისციპლინების გონიერი შერჩევის შესახებ, ქორწინება და ოჯახური იდეალი და სხვა მრავალი.

დასასრულ უნდა გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება, რომელიც არავითარ ჩრდილს არ აყენებს ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას და უმთავრესად მისი შემდგომი დახვეწის, სრულყოფისკენაა მიმართული.

1. პრინციპულ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ჩვენს შორის, რეფორმაციის ადგილზე ისტორიაში. ჩვენ რეფორმაციას ახალ ისტორიაში მოვიაზრებთ. ის კი მას შუა საუკუნეებში მიუჩენს ადგილს. მისმა არგუმენტებმა ამაში ვერ დაგვარწუნა.

2. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა განხილული ყოფილიყო საკითხის ისტორიოგრაფია. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ამ საინტერესო წიგნს. მით უმეტეს, რომ ავტორი ამ საკითხში საკმაოდ ჩახედული ჩანს.

3. ძველი ინერციის გამოძახილად გვევლინება ტერმინები **„ბურჟუაზიული რევოლუცია“ „ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია“.**

ამრიგად, პროფესორ გურამ კუტალიას სახით საქმე გვაქვს საქართველოში რეფორმაციის ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო მკვლევართან. მისი წიგნი, „ბერი, რომელიც აუჯანყდა რომს“ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია.

**მერაბ კალანდაძე**

ჩალით დახურული ქვეყანა

# ხელისუფლების წამბაქველობით

**მრავალსართულიანი თუ ერთსართულიანი სახლებიდან კანონიერი მფლობელების გამოსახლება, საცხოვრებელი სახლების დანგრევა, მცხოვრებლებისა და ავეჯის ღია ცის ქვეშ ქუჩაში დაყრა ჩვენი ხელისუფლების ყოველდღიური ცხოვრების ნორმად იქცა. მათ სამშენებლო ფირმებმა და კერძო ინდმეწარმეებმაც მიბაძეს.**

2005 წლის მიწურულს კოოპერატიულმა ბინათმშენებელმა გურამ დამენიამ შატბერაშვილის ხევი №9-ში მცხოვრებ ალექსანდრე სტარინსკის სახლს ბულდოზერი მიაყენა და პირისგან მიწისა აღგავა.

დაზარალებულს სახლი მემკვიდრეობით ერგო. იგი მამის, სამხედრო პირის მიერ იყო აშენებული. დედისერთა ალექსანდრეს მამამ წინდახედულად ბინა ანდერძითაც დაუმტკიცა.

დამენია სტარინსკის სახლთან დაახლოებით 15-20 მეტრში კომერციულ ბინას აშენებდა. მშენებლებმა იქვე მცხოვრებს საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა მოსთხოვეს. ამ წინადადების არაერთგზის უარყოფის შემდეგ, გათავხედებულმა ინდმშენებელმა სახლი დაანგრია. ოფიციალურად კი განაცხადა, შენობა დანგრევის პირას იყო მისულიო. თუმცა ის აღარ უთქვამს, ჰყავს თუ არა სახლს მეპატრონე. ამით არც არავინ დაინტერესებულა.

როგორც ჩანს, სტარინსკები კარგი მაცხოვრებლები იყვნენ. შატბერაშვილის ქუჩის გარდა მათ კერძო სახლი ჰქონდათ ფონიჭალაში (ორსართულიანიძ. შენობის მოუვლელობისა და უმცროსი სტარინსკის უნიათობის შედეგად, ბინაში ვიღაცა შეიჭრა და მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა რეესტრში გატარებული კანონიერი მემკვიდრე, გამყალბებელი ნოტარიუსის ხელშეწყობით შესძლო სხვისი საკუთარი სახლის დაკანონება. მეზობლები აცხადებენ, რომ სახლი უფროსი სტარინსკის აშენებულია, ვაჟიშვილი ზოგჯერ მოდიოდა მამისეულ სახლში, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელია იგი არავის უნახავს, მხოლოდ გადმოცემებით იციან, რომ ცოცხალია.

შატბერაშვილის სახლიდან სტარინსკის გამოძევების შემდეგ, იგი ხან სად ათევდა ღამეს და ხან სად. უსახლკაროდ დარჩენილი ბოლოს შამილ ხასოევმა შეიფარა. მაგრამ მათ არა აქვთ იმის ფული, რომ სასამართლოში იჩივლონ (საკუთრების საქმეზე თანხებს მესარჩელე იხდისძ. ამასთან სტარინსკი ნერვიულობითა და მძიმე ცხოვრებით დაავადდა. არავინ ჰყავს ახლო ნათესავი, რომელიც ამ საქმით დაინტერესდებოდა. სწორედ ამ გარემოებებით სარგებლობდნენ დამენია და სტარინსკის ბინაში შეჭრილი და აცხადებენ, ვისაც რაიმე პრეტენზია აქვს, სასამართლოში იჩივლოსო.

**ზაზა ბილიხოძე**



**მეუღლე თაკო, შვილები ნუცა, გიორგი, დედა მაყვალა, მამა რეზო, და ნატო, სიძე მამუკა ჭრელაშვილი, სიდედრი ნუნუ, სიმამრი ჯემალ, ცოლისძმა ლაშა, ცოლისდა ნინო კუხალაშვილები, უახლოესი ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან**

**მამუკა ჩაკვეტაძის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15 IV, 17 სთ. გამოსვენება 16 IV, 14 სთ. მისამართი: საბურთალოს ქ. №42, ბინა 59.**



**დეიდაშვილები დოდო, თინა ჯაყელები, დოდო იმნაიშვილი, თემურ ნანეიშვილი, შოთა შარაშენიძე, რუსუდან ბერაძე, ქეთევან კობალაძე, ლულუ მიქელაძე ოჯახებით იუწყებიან**

**მაკა მახარაძის**

**გარდაცვალებას.**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ჩვენი კარაბადინი

### ქორწინება მამაკაცებისთვის უფრო სასარგებლოა, ვიდრე ქალებისთვის



**მამაკაცებისთვის ქორწინება გაცილებით უფრო სასარგებლოა, ვიდრე ქალებისთვის – სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის ის არანაირ განსაკუთრებულ როლს არ ასრულებს, ასეთი დასკვნა გააკეთეს კალიფორნიისა და სტენფორდის უნივერსიტეტების თანამშრომლებმა, რომლებიც 20 წლის განმავლობაში თვალყურს ადევნებდნენ 1500 მოხალისეს.** ცოლიანი მამაკაცები, რომლებიც გამოკვლევაში ღებულობდნენ მონაწილეობას, ცოცხლობდნენ 70 და მეტ წელს. განქორწინებულები ვერ დაიკვეხნიდნენ ასეთი შედეგებით. უცოლოები ცოცხლობდნენ იმათზე უფრო დიდხანს, ვინც მეორედ ქორწინდებოდა, მაგრამ უფრო ცოტა ხანს, ვიდრე ცოლიანები. იმ ქალებში კი, ვინც ექსპერიმენტში ღებულობდა მონაწილეობას, ქორწინება სიცოცხლის ხანგრძლივობაზე არანაირ გავლენას არ ახდენდა.

### ბიჭებს სჭირდება მკაცრი დედები, გოგონებს – მკაცრი მამები

**მოზარდები, ვისაც საპირისპირო სქესის მკაცრი და ავტორიტეტული მშობელი ჰყავს, ნაკლებად ხდებიან ალკოჰოლის მოყვარულები. ასეთია ბეილორის (აშშ) უნივერსიტეტის ფსიქოლოგების გამოკვლევების შედეგი.**

მეცნიერებმა გამოკითხეს კოლეჯის 581 სტუდენტი მშობლებთან მათი დამოკიდებულების შესახებ. მშობლები პირობითად დაყვეს სამ ჯგუფად: ავტორიტარულები (ისინი, ვინც მკაცრ წესებს ამკვიდრებენ, მოითხოვენ მორჩილებას და ვერ იტანენ დისკუსიებს), ავტორიტეტულები (ისინი ასევე მოითხოვენ წესების დაცვას, თუმცა დიალოგისთვისაც მზად არიან) და დამთმობები (ისინი, ვინც ბავშვებისთვის უფრო მეგობრები არიან, ვიდრე მშობლები). აღმოჩნდა, რომ ავტორიტეტული მშობლები ყველაზე უკეთ ახერხებენ ბავშვის ცხოვრების კონტროლს, დამთმობები – ყველაზე ცუდად. და რაც მთავარია – მოზარდისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა, თუ მასთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს საპირისპირო სქესის მშობელს. ესე იგი უფრო მეტად არიან დაცული პრობლემებისგან, მათ შორის ალკოჰოლის პრობლემისგან, ავტორიტეტული დედების ვაჟიშვილები და ავტორიტეტული მამების გოგონები.

### თევზი მხედველობას გვინარჩუნებს



**თუ ქალები კვირაში სულ ცოტა ორჯერ მაინც მიირთმევენ ზღვის პროდუქტებს, შეძლებენ თავიდან აიცილონ ასაკობრივი მხედველობის გაუარესება, მიაჩნიათ ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მეცნიერებს.**

ექსპერიმენტი 10 წელი გრძელდებოდა, მასში 38 ათასი ქალი მონაწილეობდა. მისი დამთავრების შემდეგ 235 მათგანს გამოუვლინეს მაკულარული დეგენერაცია. მთელი ამ 10 წლის განმავლობაში ქალები წერდნენ ანგარიშებს იმის შესახებ, თუ რას და რა რაოდენობით მიირთმევდნენ. ისინი, ვინც რეგულარულად და საკმაო ოდენობით ღებულობდა თევზსა და ზღვის სხვა პროდუქტებს, 42 პროცენტით უფრო იშვიათად იტანჯებოდნენ მხედველობის გაუარესებისგან.

ზღვის პროდუქტები – კალმარები, კრევეტები, რვაფეხები, ზღვის თევზები, მიდიები, კიბოები და სხვადასხვა წყალმცენარე – შეიცავენ დიდი ოდენობის ომეგა-3-ის ცხიმმჟავებს, რომლებიც თავიდან გვაცილებენ თვალის ბადურის კვდომას.

### ყავა დაგვიცავს ინსულტისგან

**იმ ქალებს, ვინც ყოველდღე ერთ ჭიქაზე მეტ ყავას სვამენ, ინსულტის რისკი 22-25 პროცენტით უმცირდებათ, ამტკიცებენ შვედი მეცნიერები.** თანაც არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, კონკრეტულად რამდენ ჭიქას დალევენ. გამოსაცდელები მედიკოსებმა დაყვეს 4 ჯგუფად: პირველის წარმომადგენელი ქალები დღეში ერთ ჭიქაზე ნაკლებ ყავას სვამდნენ, მეორისა – 1-2 ჭიქას, მესამისა – 3-4 ჭიქას, მეოთხისა – 5 და მეტ ჭიქას ყოველდღიურად. ყველას, ვინც დღეში ერთზე მეტ ჭიქა ყავას სვამდა, ინსულტის რისკი თითქმის ერთნაირად ჰქონდა შემცირებული.

### რეგულარული სექსის სარგებლობის შესახებ

**ქორწინებისგარეშე სქესობრივი კავშირები ზრდიან ინფარქტის საფრთხეს, ამბობენ ბრიტანელი მკვლევარები.**



შემთხვევითი სექსს უფრო დიდი ალბათობით, ვიდრე რეგულარულ სქესობრივ ცხოვრებას, მივყავართ ინფარქტამდე. ინფარქტის საფრთხე თითქმის სამჯერ უფრო მაღალი აქვთ მათ, ვინც სექსუალურ ცხოვრებას იშვიათად ეწევა, იმათთან შედარებით, ვინც ამას რეგულარულად ეწევა. სექსი გულზე არ ახდენს იმდენ დატვირთვას, რამდენსაც კიბეზე სიარული. ასე რომ, გულით დაავადებულებიც არ უნდა გაურბოდნენ მას, მიაჩნიათ მეცნიერებს.

### ტაი-ჩი კარგი განწყობილებისთვის

**ჩინური ტანვარჯიში ტაი-ჩი უხსნის დეპრესიებს ხანდაზმულ ადამიანებს, გამოაცხადეს ამერიკელმა მეცნიერებმა.**

მკვლევარები თვალყურს ადევნებდნენ 112 კაცისგან შემდგარ ჯგუფს, რომელთა საშუალო ასაკი 70 წელი იყო. ყველა მათგანს დეპრესია აწუხებდა. თავდაპირველად ყველამ გაიარა მკურნალობა ანტიდეპრესანტებით, 73-ს მდგომარეობა გაუუმჯობესდა, თუმცა უმნიშვნელოდ. შემდეგ მედიკოსებმა ხანდაზმული ადამიანები დაყვეს ორ ჯგუფად: ერთს შესთავაზეს ტაი-ჩის 10-კვირიანი კურსი, მეორეს – ფიზკულტურის საერთოგამაჯანსაღებელი მეცადინეობები 2 საათით კვირაში. შედეგად 94 პროცენტს მათგან, ვინც ტაი-ჩით ვარჯიშობდა, მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდა, თანაც 65 პროცენტს დაეწყო ხანგრძლივი რემისია (ავადმყოფობის მოვლენათა შესუსტება ან მთლიანად გაქრობა). მეორე ჯგუფში ციფრები 77 და 51 პროცენტს შეადგენდა. ამას გარდა, ჩინური ტანვარჯიშით დასაქმებულებს გაუუმჯობესდათ ინტელექტუალური მაჩვენებლები და მოუწესრიგდათ ძილი.

## ცნობისმოყვარეთათვის

### სად, რა, როდის?

● ის 1889 წლის 20 აპრილს დაიბადა ავსტრიის ქალაქ ბრაუნაუამ-ინში, საბაჟო მოხელის ოჯახში. მკაცრმა მამამ, რომელიც სკეპტიკურად უყურებდა შვილის ოცნებას მსოფლიო მბრძანებლის შესახებ, მას მისცა გვარი, რომელიც სულაც არ რგებია მემკვიდრეობით. ის თავდაპირველად დედამისის ქალიშვილობის გვარს ატარებდა, შემდეგ მამინაცვლის გვარზე გადავიდა და ეს გახლდა – ადოლფ ჰიტლერი.

● ვლადიმერ ილიჩ ლენინის ერთ-ერთი ორეული მუშა იყო, გვარად ნიკონოვი.

● ჯონ კენედის სიტყვებია: „გამარჯვებას ათასი მამა ჰყავს, დამარცხება კი – ობოლია.

● პოლონელი მეცნიერის კოპერნიკის შესახებ, რომელმაც შექმნა ჰელიოცენტრული სისტემა, ლომონოსოვმა ასე დაიცვა: „ჯერ არ მინახავს მზარეული, კოცონს ატრიალებდეს შესაწვავი ბეჭის ირგვლივ და არა – პირიქით“.

● ბერძენი ფილოსოფოს სოკრატეს ცოლი ქსანთიპე კაპასობისა და სიანჩხლის ეპითეტი გახლდათ.

● ათენელებზე გამარჯვების შემდეგ, ფილიპე მაკედონელი სიამაყემ შეიპყრო და იმისათვის, რომ ამპარტავნებას სულ არ დაებრმავებინა, მსახურს უბრძანა, ყოველდღე შეეხსენებინა მისთვის, რომ ის უბრალო მოკვდავი იყო.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

## კადრი



**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

**იყიდება, ქირავდება!**
ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკე)
ვრცელი ფართობი (180 კვ.მ) საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით.
868 838 858

## ანეკდოტები

– მაგარი საქმეა, ხომ იცი! ვასკას სამი ათასი დოლარი ასესხე, ის კი შენს ცოლთან ერთად გაიქცა!

– აბა როგორ, განა ისეთი ბრიყვი ვარ, რომ ტყუილად ვასესხო ვინმეს ფული!



* * *

ლომი მხოლოდ აფრიკაშია ლომი. სხვაგან კი იგი ცირკის ცხოველია.

* * *

ყველა კაცსა და ქალს ერთი უნდა, მაგრამ ზოგჯერ ტყუპი გამოდის.

* * *

– გოგონი, შეიძლება, რომ გაკოცოთ?

– არა, მე წესიერი გოგო ვარ: პირველი სექსის მერე არავის არ ვაძლევ კოცნის უფლებას.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24